645
1991
415

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0821-1509

1
1991



ბევრ ქალიშვილს [illegible] საქორწილო კაბა.
ღმერთმა აბედნიერ[illegible] რავლის ისინი!

ჯავარ ლომაძის ფოტო

## ნომერშია:

მიზანი — ჯანმრთელი თაობა
გვ. 10

მიშელ მორუა
ბრიუსელური მაქმანი
გვ. 12

ფირმა „ეკონომიკა“
გვ. 16

## შემდეგ ნომერში:

ჩვენი სტუმარია ლიტვის ქალთა ჟურნალი „მოტერის“ („ქალი“)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

ალზარდე შვილი,
მიეც მალა სულს, —
საზრდოდ ხმარობდე
ქრისტესა მცნებას...

...თავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:
...ლი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე,
...ია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვამაძე,
...აზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომ-
...ათიძე, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია
...ალუბაშვილი, ლუბა ზეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნი-
...ო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

...ტრედაქტორი ნანული ბუკია

...ვირფასო ავტორებო! გთხოვთ 6 ნაბეჭდ
...გვერდზე ვრცელ წერილს ნუ შემოგვთავაზებთ.

...აქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს"
...სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

მარიკა ბარათაშვილი

# საახალწლო ფიქრები 1991

მიმოდიოდნენ ქართვლის ცაზე
წელიწადები.
ვერ მივაწვდინეთ ერთადერთი
გულისნადები.
ამაოდ ვთხოვდით, ვთხოვდით შველას
ყოველ ახალწელს,
ვერ აგვაცილეს აურაცხელ
ჭირს და განსაცდელს.

...მაშინ ამაღლდი მთაწმინდაზე
ტვირთით — მრავალით,
დედა-დეხპანი, ცის და მიწის
შუამავალი.
ერმა მოგანდო სათვალთვალოდ
ბუდე — არწივთა.
ცრემლად გდენია, რაც ქვეყანას
სისხლად აწვიმდა.
როს გვაწყდებოდა ზვირთმრავალი
მტრობის ვნებანი,
საბედისწეროდ პრიალებდა
ჩვენი გემბანი,
ლოცვად იდექი, გწამდა, ღმერთი
რომ არ გაგვწირავს,
მტრობის ზღვაურში შთასანთქავად
და ჩასაძირად.
ასე ჯიუტად, ხელში თასით,
ცალკერძ მახვილით,
დგახარ.
ტრიალებს ქვეყნის ცაზე
ბედის მარხილი.
...და ამ ლოცვაში მოგვდგომია
კარზე ცისკარი.
ქართვლის დედაო, სამშვიდობო —
გახსენ პიშკარი!
ხედავ, ინათა, სამომავლო
შუქმა ინათა,
მან გაგვიმართლოს, რაც წარსულმა
ვერ გაგვიმართლა!
ასწიე თასი, სულ, სულ მაღლა
ასწიე თასი,
პაბუკ ახალ წელს სიყვარულის
ბადაგი ასვი!

...მაგრამ ეგება თვალი მოგვჭრა
შუქმა, ახალმა?
ბედმა, ავბედმა ვაითუ კვლავაც
არ გაგვახარა, —
იმძლავროს ჯანღმა, გადაფაროს
ზეცის თავანი,
კვლავ მოგვირღვიოს სამშვიდობ.. —
ეს გალავანი...
გესმის? აღშფოთდა ქარიშხალი
სულ სხვა ვნებებით...
არ დაგვიმუნჯოს სიყვარულის
სადიდებელი!
ბნელეთს არ სძინავს, ლამობს შუქში
შემოგვედავოს...
არ დავანებოთ, ისევ ბრძოლად,
ბრძოლად, დედანო!
სული ველარ ძლებს უიმედოდ
და უმალამოდ...
კვლავ გვიწინამძღვრე ცის და მიწის
შუამავალო!
ცას შეავედრე ჩვენი კერა,
ჩვენი მართვენი,
გზა — სამომავლო გაგვიშუქოს
ღვთიურ ნათელით.
სთხოვე, შეგვინდოს, რაიცა გვაქვს
შეცოდებანი...
მან განგვიფანტოს, განგვიდევნოს
ბნელი ვნებანი.
მან მოგვამადლოს, ზეციერმა
ნიჭი ძლიერი, —
ვძლიოთ ავსული, მომხდური, თუ
კერისმიერი.
მან დაგვილოცოს შვილთან ერთად
შვილობილებიც,
დედის კალთიდან საიმედოდ
წამოზრდილები —
ვისაც სტკენია ქართვლის ბედი
და მომავალი.
ვინც დააბიჯებს ამ მიწაზე
გულით — ალალით.
ღმერთს შეავედრე, აუხილოს
თვალები მათაც —
დაბრმავებულთა —
არ უწყიან სჩადიან რასაც,
მიუჩნევიათ დედინაცვლად
დედა — ნამდვილი
და დააქვთ გულით
ბოროტების ბნელი წადილი.
ავედრე უფალს, დიდებულთა —
ჩვენთა სულები,
საქართველოსთვის მოწამებრივ
ცად ასულები.
იმ ღამისანიც... 9 აპრილის —
კი არ ჩამქრალან,
მამულის ცაზე კიაფობენ
უქრობ ვარსკვლავად.
მას ვევედრებით, დედას ღვთისას —
მადლით შემოსილს,
მადლს და მშვიდობას, მკვდრეთით აღმდგარ
საქართველოსთვის.
მოკრბით, დედანო, სანუკვარნო
და დასაფიცნო,
ქართვლის დიდება, ერის სული
უნდა ვამტკიცოთ!
თუ ვერ შევძელით, ვერ დავიცავთ
უკვდავ ქარტიებს,
ეს — ღალატს უდრის, მომავალი
არ გვაპატიებს!
თუ ვერ დავიცავთ ამ სასწაულს,
ღვთიურ სინათლეს,
ერთხელ იელვა... ზეციერი
კვლავ გაგვიმართლებს?
გადავივიწყოთ პირადული
ყველა ტკივილი, —
რამ საკუთარი საწუხარი
და სიმძიმილი.
სხვა ყველა ვნებას მოვერიოთ,
მოვდოთ სადავე,
მამულის ბედზე უმაღლესი —
რა გვაქვს სადავო!

ახლა გვჭირდება შემტკიცება
როგორც არასდროს,
რომ წინ აღვუდგეთ გაავებულ
მტერთა მარათონს.
...ახალი წელი მობრძანდება,
მოჰყავს ცისკარი,
დადე მახვილი, სამშვიდობო
გახსენ პიშკარი.
ქართვლის დედაო, სულ სულ მაღლა
ასწიე თასი,
პაბუკ ახალწელს სიყვარულის
შარბათი ასვი!

სიკეთით ევლოს შუქმფინარეს,
სიკეთით ევლოს,
ნანატრი დილა გაუთენოს
ჩვენს საქართველოს!





ლია ანდღულაძე



ნინო ჭავახიშვილი



თამარ დეკანოსიძე



მზექალა შანიძე



ირინე ტალიაშვილი



მანანა ძოწუაშვილი



ეთერ ყაველაშვილი



სალომე ზვიადაძე



ეთერ გუგუშვილი



ნათელა ქუთელია



მანანა გაბაშვილი



მაია თომაძე



მაია მაჭავარიანი



მაია ნათაძე



მედეა თუშმალიშვილი



დალი ფიროსმანაშვილი

# ქალი — პარლამენტარები

ქართველი ქალის ცხოვრების წესი ძალიან რთულია. აქ იგულისხმება: ურთიერთობის მოგვარება ქმართან, შვილებთან, ქმრის ნათესავებთან, თავის ნათესავებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, უამრავ მეგობარ-ამხანაგთან — თავისი, შვილების თუ ქმრის, ნაცნობ-უცნობ სტუმრებთან. ქართველი ქალი ბუნებით ქველმოქმედია, ეწევა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ყველა ამ თვისებას თუ გავითვალისწინებთ, რაც მას ტრადიციულად მოსდგამს, იგი დიდი პოლიტიკოსია და შეუძლია აქტიურად იმოღვაწეოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში.



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მზექალა შანიძე, მანანა გაბაშვილი, ლია ანდღულაძე, ნათელა ქუთელია, თამარ დეკანოსიძე

ახალი წლის წინ რედაქციაში გვეწვია პარლამენტარ ქალთა ერთი ჯგუფი. გაიმართა გულითადი საუბარი დღევანდელობაზე. მოვუსმინოთ მათ.

ლია ანდღულაძე: „უნდა ყოველნაირად ვეცადოთ, რომ ცოდნა ღირსების საქმე გახდეს. ამის შეგნება სწავლების ყველა საფეხურზე უნდა აღორძინდეს. შეიძლება ამას თავიდან დიდი შედეგები არ მოჰყვეს, მაგრამ ფეხის ადგმაა საჭირო, რომ მერე სიარული გაგვიიოლდეს".

მანანა გაბაშვილი: „ქართველი ქალის მოვალეობაა აქტიური ეროვნული პოზიცია და ოჯახი. ჩემი, როგორც პარლამენტარის მიზანი? — ურთიერთობის მოგვარება ალმოსავლეთის ქვეყნებთან, ამას მავალებს ჩვენი ისტორიაცა და ჩემი სპეციალობაც."

თამარ დეკანოსიძე: „უპირველესად უნდა შეიქმნას ისეთი კანონები, რომლებიც განსაზღვრავს წესრიგს...

მე მეცნიერ-მკვლევარიცა ვარ და პედაგოგიც. უპირველესად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენთან ჯანმრთელობის დონე მსოფლიო სტანდარტების დონეზე ავიდეს და რომ აღვზარდოთ კარგი სპეციალისტები. ჩემი მოღვაწეობის სფეროში ყველა ღონეს ვიხმარ. უნდა შემოვიღოთ ოჯახის ექიმების ტრადიცია".

ნათელა ქუთელია: „რა უნდა გავაკეთო კონკრეტულად, ჯერჯერობით ვერ მოგახსენებთ, ყველა შემთხვევაში მუნიციპალურ არჩევნებამდე..."

მზექალა შანიძე: „მე თქვენ ჟურნალს მინდა ვთხოვო — რუსეთის ჟურნალებში დიდ ყურადღებას აქცევენ ენის საკითხებს, ჩვენთან კი ეს ნაკლებად არის წარმოდგენილი. მაგალითად: სიტყვების ისტორია. ეს ხალხს ძალიან აინტერესებს...

„უპირველესად უნდა შეიქმნას ნაციონალური სიმდიდრე".

საქართველოს უზენაეს საბჭოში 16 დეპუტატი ქალია. რას ფიქრობენ ისინი? რა არის მათი მთავარი მიზანი? რის გაკეთებას აპირებენ? მათთან ამ საკითხებზე ინტერვიუებს შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

## მოსკოვი. კრემლი.

## სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ჯერ კიდევ არ შეგვხორცებია საქართველოს დედებს 1989 წლის 9 აპრილის მიერ გულს დაჭდეული ჭრილობები, რომ თავს დაგვატყდა ახალი მწუხარება — თქვენს მიერ გამოცემული 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ბრძანებულება გაცემული გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ავტორის, მშვიდობისათვის მებრძოლი ნობელის პრემიის ლაურეატის მიერ, კიდევ მეტად ძაბავს, ისედაც დაძაბულ გარემოებას და სულაც არ უწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიაზე საუკუნეთა განმავლობაში ერთად შეზრდილ ორ ხალხს შორის აღმოცენებული პრობლემების მოგვარებას.

ამ ბრძანებულებას მივიჩნევთ ჩვენი რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა შელახვად — რესპუბლიკისა, რომელიც თავად უნდა განაგებდეს თავის საშინაო საქმეებს.

გთხოვთ გვიხსნათ კიდევ ახალი სისხლისღვრისა და ცრემლებისაგან.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის
კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია

# მღელვარე დღეების ქრონიკა



თბილისი. დედები შიმშილობენ

1990 წლის დეკემბერში ქართველ დედათა ჯგუფმა ჩაატარა შიმშილობის მჯდომარე აქცია საქართველოს მთავრობის სახლთან და რადიო-ტელევიზიის კომიტეტის შენობაში. დედები მოითხოვდნენ საქართველოს ეროვნული კონგრესისაგან საქართველოს პარლამენტთან სოლიდარობას, ხოლო „მხედრიონისგან“ განიარაღებას, რათა მიცემოდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას მშვიდი, ნორმალური მუშაობის საშუალება.

* * *

საქართველოს მოსახლეობა შეაშფოთა და აღაშფოთა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ანტიდემოკრატიულმა, ანტიჰუმანურმა ბრძანებულებამ, რომელშიც მკვეთრად აისახა მისი ანტიქართული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

მეტი რომ არა ვთქვათ, ეს იყო ზურგში ლახვრის ჩაცემა იმ ხალხისათვის, რომელსაც პრეზიდენტი სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდა.. ეს ბრძანებულება ნიშნავს, ხელი გაუხსნა ისედაც გათავხედებულ ოს სეპარატისტებსა და ექსტრემისტებს სამაჩაბლოს ქართველთა საულეტად.

ქართველი ხალხი არავის აპატიებს სუვერენიტეტულ საქმეებში ხელის ფათურს! ამის დასტურია ის მღელვარება, რომელიც მოედო მთელს საქართველოს — საპროტესტო მიტინგები, დემონსტრაციები, შიმშილობის აქციები.

ერთერთი ასეთი აქცია მოეწყო მოსკოვის შუაგულში, საქართველოს წარმომადგენლობის შენობაში. ამ აქციას ატარებდა საქართველოდან ჩასული ორმოცამდე ქართველი, ოსი, ქურთი და ასირიელი დედა, რომელთაც ერთი მიზანი აერთიანებდათ — მშვიდობიანი თანაცხოვრება. მოშიმშილეები მოითხოვდნენ შეწყვეტილიყო სხვათა ხელის ფათური ჩვენს საშინაო საქმეებში.

# თბილისი — საარბრუკენი

გერმანელ და ქართველ ქალთა მეგობრობა ჯერ კიდევ 1979 წელს, თერთმეტი წლის წინ დაიწყო, როცა გერმანელ ქალთა წრის 75 წარმომადგენელი თბილისს ეწვია. ამის შესახებ თავის დროზე წერდა „საქართველოს ქალი". იმ დროს დათესილი მეგობრობის მარცვალი თანდათან ღვივდებოდა რომ ათიოდე წლის შემდეგ ნაყოფი გამოეღო. მანამდე კი არ წყდებოდა მიმოწერა გერმანელ და ქართველ ქალებს შორის, დამყარდა პირადი ურთიერთობანი, საარბრუკენის ქალთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გიზელა რაიმერი წერილებს ქართულად აწერდა — თქვენი მეგობარი გიზელა რაიმერი. მაგრამ ქალთა კომიტეტებს შორის ურთიერთობა არ გაღრმავებულა, ოფიციალურ დონეზე რაიმე შეთანხმება არ მომხდარა.

1989 წლის ზაფხულში ვილნიუსში ყოფნისას შევხვდი საარბრუკენის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ ინგრიდ პალურს, რომელიც ქალთა პატარა ჯგუფთან ერთად მოგზაურობდა ბალტიისპირეთში. იქვე იყო ჩემი მეგობარი გიზელა რაიმერიც. ქალბატონი ინგრიდ პალუ დაინტერესდა საქართველოს ქალთა საბჭოს მუშაობით, შევთავაზე სახალხო დიპლომატიის არხების გამოყენებით ამ ორი კომიტეტის დაახლოება, ერთობლივი ურთიერთთანამშრომლობა და საქართველოს ქალთა საბჭოს სახელით (რისი დასტურიც, ცხადია, მქონდა) 10 გერმანელი ქალბატონი უვალუტო გაცვლის წესით საქართველოში მოვიწვიე.

ერთი წლის მანძილზე ოფიციალური მიმოწერის შემდეგ 1990 წლის შემოდგომაზე გერმანელ ქალთა ჯგუფი საქართველოში ჩამოფრინდა. ხელი შეგვიწყო იმანაც, რომ საარბრუკენის ერთ-ერთმა ტურისტულმა ფირმამ — საქართველოს ტურიზმის საბჭოსთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად საჰაერო ტრასით, საარბრუკენი-თბილისი ჩარტერით (პირდაპირი ფრენით), რამდენჯერმე 70-ზე მეტი საარბრუკენელი ტურისტი ჩამოიყვანა საქართველოში და ამდენივე ქართველი ტურისტი ასტუმრა საარის მხარეს. ეს დიდებული შესაძლებლობა პირდაპირი ფრენისა (მოსკოვის ავლით) გამოიყენეს გერმანელმა ქალებმა და აი, 6 სექტემბერს საღამოს თბილისელი მასპინძლები, ქალთა საბჭოს წევრები, გერმანისტები, საზოგადო მოღვაწენი, სტუმრებს ვხვდებოდით თბილისის აეროპორტში. სტუმრები ოჯახებში დავაბინავეთ და შევეცადეთ საინტერესო და ნაყოფიერი ყოფილიყო მათთვის საქართველოში გატარებული დღეები. სტუმრებმა მოინახულეს ვარძია, ბორჯომი, გორი, კახეთი, მცხეთა. შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს წევრებს, ქართველ ქალებს, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლებს. ჩაის სახლში შეხვედრისას საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონმა ზინაიდა კვაჭაძემ ამცნო გერმანელ ქალებს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება — გერმანელი სტუმრების საქართველოს ქალთა საბჭოს საპატიო წევრებად არჩევის შესახებ და გადასცა მათ საპატიო სიგელი. 13 სექტემბერს ჯგუფი საარბრუკენში დაბრუნდა. მას შემდეგ არაერთი აღფრთოვანებული და მადლობით სავსე წერილი მოვიდა თბილისში, როგორც არაოფიციალური — მასპინძლების ოჯახებში, ისე ოფიციალური — საქართველოს ქალთა საბჭოში, წერილში დიდი აღტაცება და კმაყოფილება იყო გამოთქმული საქართველოში ყოფნის გამო.

საარბრუკენში ჩასვლისთანავე იქაურმა ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა „გერმანელ ქალთა წრის" წევრების საქართველოში მოგზაურობის შესახებ, ამასწინათ კი მივიღეთ მათი თვითგამოცემა, „თბილისი", სადაც დაბეჭდილია თითოეული მათგანის მიერ აღწერილი საქართველოში მოგზაურობის ერთი დღე. ალბომში პროფესიონალურ დონეზეა მიმოხილული საქართველოს ისტორიული ძეგლები, მოცემულია ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშები, ქართული კერძების რეცეპტები.

...წინ კიდევ მრავალი შეხვედრა გველის. უახლოესი მაისშია, როცა საპასუხო ვიზიტით, ქართველი მანდილოსნები საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საარბრუკენს გაემგზავრებიან, რათა გაეცნონ „გერმანელ ქალთა წრის" საარბრუკენის ქალთა კომიტეტის მუშაობას, მოითათბირონ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების დადებაზე და ერთიანი ძალისხმევით მოაგვარონ ქალთა პრობლემები, რომლებიც ცხადია, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ ერთნაირად მტკივნეული.



**ლეილა სადრაძე,**
მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი.

# საინგილო — ჩვენი ტკივილი

მოძმეთა სიყვარულმა საინგილოში წაგვიყვანა. წავედით ჩვენი მხურვალე გულით, მოკრძალებული სიჩუქრებით და ამ ლამაზი კუთხის უკეთესი მომავლის სურვილით.

კახის საშუალო სკოლაში დილიდანვე გველოდნენ. აქ თავი მოეყარათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, სოფლის მოსახლეობას. ბევრი ვისაუბრეთ. ჩვენ ჩვენი ვუთხარით, მათ თავიანთი გვითხრეს. გაგვიმხილეს, რომ ცხოვრობენ საქართველოს ცხოვრებით, ახარებთ ჩვენი ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, შემოგვნატრიან...

ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ყველა ოჯახი იღებს. ჩასულ ჟურნალისტებს, რა თქმა უნდა, გვიცნობდნენ, მაგრამ დაუსწრებლად. დიდად გაიხარეს, როცა შეხვდნენ ქალთა ჟურნალის რედაქტორს მარიკა ბარათაშვილს, რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს ლია კაკაბაძეს, განყოფილების გამგეს ეთერ ჯაფარიძეს, მხატვრულ რედაქტორს ცინარა ტერელაძეს, ლიტმუშაკებს ნანული ბუკიას და ოლია რევიას, ფოტოკორესპონდენტს დავით იაკობაშვილს.

ეს შეხვედრა საქართველოს სიყვარულში დაილია. ზეიმობდა ქართული ლექსი, სიმღერა, ცეკვა. მოგვხიბლა ბავშვების საზრიანობამ, ნიჭმა და ქართულმა გენმა. გაგვახარა ყვავილებივით ალამაზებულმა სახეებმა — ქართული თვალწარბით, კბილებით, შუბლით. სკოლის შენობიდან სოფელში გადავინაცვლეთ, დავესწარით ქართულ ქორწილს, ფუძე დავულოცეთ ახალ ოჯახს.

დღე ეკლესიაში ლოცვით დავასრულეთ. ქართულ ტაძარში წმინდა სანთლები დავანთეთ და ღმერთს შევევედრეთ: ღმერთო, უშველე ძველ ქართულ მიწას! ღმერთო, უშველე საქართველოს შვილებს!

## ქრისტიანობის აღორძინების 140 წლისთავი



წმინდა გიორგის ეკლესია სოფელ კახში

ისტორიულად ყველასათვის კარგად არის ცნობილი თუ რაოდენ მძიმე იყო გაუთავებელი ომებით სისხლისაგან დაცლილი საქართველოსათვის და, კერძოდ, ჰერეთისათვის, ქარცეცხლიანი 1414-1442 წლები; უარესი რისხვა 1587 წელს დაატყდა ქვეყანას, როცა შაჰაბას I-მა ჰერეთი კახეთს მოჰგლიჯა. შაჰმა კახეთის მეფე ალექსანდრეს ჩამოართვა კაკ-ელისენი (კახი — ალიაბადი), მოურავი დავით ვახახიშვილი კი გაამაჰმადიანა და ალი სულთანი დაარქვა. ჰერეთის საყდრები და ციხე-სიმაგრეები დაანგრია და გადაწვა. მოსახლეობის ნაწილი სპარსეთის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა (რითაც მოახდინა ასიმილაცია), ნაწილი კი გაამაჰმადიანა.

ამ ძნელბედობის მიუხედავად, ჰერეთელებმა თავიანთი თავისთავადობა — ქართველობა და ქრისტიანობა, სანთლების ალზე ლოცვა-კურთხევით შეინახეს. ბევრი წინაპარი შეეწირა ამ კეთილ საქმეს — მღვდლები აბრამ და იაკიმე ხუციშვილები ჩამოახრჩვეს და მღვდელ-მოძღვარ მიხეილ ყულოშვილს 93 წლის ასაკში თავი მოჰკვეთეს.

ინგილო ქართველები თავიანთი გვარების მიხედვით კარმიდამოს ნაწილს პატარა ტყეებად აქცევდნენ ხოლმე, რომლებსაც ეგრეთწოდებულ სალოცავ საყდრებს უწოდებდნენ. მაგალითად, ქიტიანთ (ქიტიაშვილების), ხუციანთ (ხუციშვილების), ყულონთ (ყულოშვილების), ჰირტიანთ (ჰირიტაშვილების) — საყდრებს და სხვ. მათ იმიტომ ჰქონდათ გაშენებული ეს „საყდრები", რომ იქ ღამ-ღამობით მალვით, სანთლის ალზე ელოცათ, ვაი იმას, ვისაც წაასწრებდნენ, მოწამებრივად ჰკლავდნენ. ასე შეინახეს და მოიტანეს ჩვენამდე ქრისტიანობა ინგილოებმა.

ქართველობისა და ქრისტიანობის შერჩენა-აღორძინებაში ინგილოებს დასაბამიდან მუდამ დედასაქართველო გვედგა მხარში, აგრეთვე, დიდი დამსახურება მიუძღვით რუსეთის ქართველ გენერლებს.

1803 წელს, თავად პ. ციციშვილის დროს, ზაქათალის მხარე რუსეთს შეუერთდა (შამილთან — ლეკებთან, 25-30 წლიანი ომის შემდეგ), ხოლო 1830 წელს დაარსდა ჭარ-ბელაქნის ოლქი — სალეკო საკორდონო სამანი. მას მიეწერა კაკ-ელისენის სასულთნო.

ინგილოთა ეროვნულ გრძნობებს აღვივებდნენ მაღალი ჩინის ქართველი გენერლები: ს. მალიკაშვილი, ივ. თარხნიშვილი, ლ. მელიქიშვილი, გრ. ორბელიანი და სხვები, რომლებიც კარგად იცნობდნენ საინგილოს „დაწიწკნილ" გულს, მის ბედკრულ ისტორიას. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას ისინი იმაში ხედავდნენ, რომ განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ.

კავკასიის ქედის სამხრეთ ნაწილში, შამილის საყრდენს სწორედ ჭარ-ბელაქნელი ლეკები წარმოადგენდნენ. მეფის მთავრობისათვის საჭირო იყო ერთმორწმუნეთა გამოძებნა, რომელნიც რუსეთის თვითმპყრობელებს ომში თუ არ დაუჭერდნენ მხარს, ყოველ შემთხვევაში მის დამპყრობლურ პოლიტიკას ხელს არ შეუშლიდნენ. ამ მიზნით მთავრობამ გამოიყენა თავისი მთავარი და ნაცადი იარაღი — ქრისტიანობის გავრცელება, რამაც (რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო) ინგილოთა ერთ ნაწილს ქრისტიანობა დაუბრუნა.

სწორედ ამან განაპირობა 1849-50-იან წლებში ინგილოების აღორძინება-გაქრისტიანება.

1849 წელს, ცოტა ამოისუნთქეს თუ არა, ინგილოებმა ქალაქს გაგზავნეს თავისი წინამძღოლები ივანე პაპა ბულულაშვილი, გიორგი ჯანაშვილი და სხვანი. მათ გამოუცხადეს მთავარმართებელ ვორონცოვს — ჩვენ ქრისტიანები ვართ და გამოგვიგზავნეთ ქართველი მღვდლები, რომ „მოუნათლელი ქრისტიანები მოგვნათლონო". რაღა თქმა უნდა, იმ შამილობის დროს, მთავრობას ძლიერ ესიამოვნა ინგილოთა სურვილი და მეფის მთავრობამ საინგილოში, კერძოდ, კახში (კაკში), გაგზავნა საუკეთესო მღვდლები და განათლებული მასწავლებლები, რითაც ქართველებმა მეტად გაიხარეს.

1990 წლის 21 ოქტომბერს, ბედნიერმა შთამომავლობამ აღნიშნა ქრისტიანობის აღორძინების 140 წლისთავი.

დასანანია, რომ ამ ზეიმს ვერ მოესწრო დიდი საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის გამავრცელებელი საინგილოში, დამსახურებული, ხანდაზმული მასწავლებელი, სოფიო ყულოშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1940 წელს წერდა: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემს საყვარელ კუთხეში ასეთ უანგარო მოღვაწეებს ვხედავ. თქვენში ჩემი ღვაწლის განხორციელებას ვგრძნობ. იმუშავეთ, მხოლოდ კეთილშობილურ შრომას გადააქვს საშვილიშვილოდ ადამიანის სახელი".

საინგილოში 1941-45 წლებში მოღვაწეობდა თბილისიდან ჩამოსული ქართველი მწერალი ქალი ალექსანდრა ჩხენკელი. მან განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საინგილოსა და ინგილო ბავშვებს. შეისწავლა მათი ყოფა-ცხოვრება. შექმნა მოთხრობების ციკლი „ძვირფასი სახსოვარი", რომელშიც მწერალმა შესანიშნავად ასახა ინგილოთა დღევანდელი ყოფა. ქართულ სკოლაში იგი ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად ალექსანდრა ჩხენკელის მოთხრობა „რომიკო", რომელმაც გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების" მიერ გამოცხადებულ კონკურსში პრემია დაიმსახურა. ამ მოთხრობაში აღწერილია ერთი ინგილო ბავშვის ცხოვრება. საინტერესოა ისტორიული ნარკვევები „მზიანი საინგილო".

ალექსანდრა ჩხენკელი წერდა: „საოცარი მაგიური ძალა აქვს საინგილოს, რაღაც უცნაურად, ანდამატურად იზიდავს ადამიანს. ვინც ერთხელ დაადგამს ფეხს მის ყვავ-ყორნებივით დაწიწკნილ გულმკერდს, შემდეგ სამუდამოდ დააჩნდება მის გულს საინგილოს ჭრილობა".

რამდენ ნეტარხსენებულთა სურვილი განხორციელდა დღეს კახში, თავის მკვიდრ მიწაზე ქართველობა გაძლიერდა, ფერისცვალება მოხდა კახში, კვლავ აგუგუნდა წლობით დადუმებული ქართული საეკლესიო სამრეკლო, დიდის ზარ-ზეიმით აღინიშნა ქრისტიანობის აღორძინების 140-ე წლისთავი.



ინგილო ქალის ჩაცმულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიახლე

# ყოველი — ჯანმრთელი თაობა

„ნებისმიერ ბავშვს კანონიერი უფლება აქვს დაიწყოს სიცოცხლე სალი გონებითა და ჯანმრთელი სხეულით“.

ამერიკის ერთ-ერთი შტატის სასამართლო პროცესიდან

ალბათ, ხშირად მოგიკრავთ ყური: „მახინჯი ბავშვი შეეძინათ“, „გონებაჩლუნგი ბიჭი ჰყავს“, „ამხანაგის ცოლს სამჯერ მოეშალა მუცელი“, „ჩვენ მეზობელს მკვდარი ბავშვი დაებადა“, „გრიპი ჰქონდა ორსულობის დასაწყისში და ახლა ეშინია ავადმყოფი ბავშვი არ ეყოლოს“, „ნეტავ მეორე ბავშვი მაინც ეყოლებოდეს ჯანმრთელი“ და სხვა.

სწორედ ასეთ სიტუაციებში ჩავარდნილ ოჯახთა კვალიფიციური დახმარების მიზნით შეიქმნა და თითქმის ერთი წელიწადია მუშაობს ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე შექმნილი მრავალპროფილიანი სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაცია.

მაინც, ვის სჭირდება სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაცია? პირველ რიგში იმ ოჯახს, რომლის ერთ-ერთ წევრს ან ნათესავს თავად აქვს მემკვიდრეობითი ან თანდაყოლილი დეფექტი, ცოლ-ქმარს, რომლებსაც ეყოლათ განვითარების ამა თუ იმ თანდაყოლილი მანკით ან გონებრივად და ფიზიკურად დაავადებული ბავშვი. გარდა ამისა, გენეტიკური კონსულტირება აუცილებელია ნათესაური ქორწინების, გართულებებით მიმდინარე ორსულობის, თვითნებური აბორტების, მკვდრადშობადობის, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის (როცა გაურკვეველი რჩება ბავშვის სიკვდილის მიზეზი), უნაყოფობის, ფეხმძიმობის წინ ან ორსულობის პირველ თვეებში გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედების და სხვა შემთხვევებში.

თვით სამედიცინო-გენეტიკური კონსულტირება არის პროცესი, რომლის დროსაც ავადმყოფის ოჯახს ან მათ ნათესავებს, რომელთაც აქვთ რისკი მემკვიდრული დაავადების მიმართ, უტარდებათ სათანადო გამოკვლევები სწორი დიაგნოსტიკის მიზნით, ეძლევათ საჭირო ინფორმაცია მოცემული ავადმყოფობის აღმოცენების, განვითარების და შთამომავლობისათვის გადაცემის ალბათობის შესახებ, განემარტებათ დაავადების პროფილაქტიკის (მათ შორის, ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში, ნაყოფის ჯანმრთელობის შეფასება გენეტიკის თანამედროვე მეთოდებით, ექოსკოპიით და სხვა) და შესაძლო მკურნალობის გზები.

არ არსებობს არცერთი ოჯახი, ადამიანი, რომელსაც შეეძლოს სამედიცინო-გენეტიკური კონსულტირების აუცილებლობის უგულებელყოფა. თითოეული ჩვენგანი იმის გარდა, რომ გააჩნია ამის უფლება, ამავე დროს მოვალეა იცოდეს ყოველივე, რაც შეეხება მისი გენების თავისებურებებს.

დღეისათვის გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ მრავალი მემკვიდრეობითი დაავადების ტრაგიკული შედეგები დროულად ავიცილოთ თავიდან, ამიტომ, აუცილებელია ვიცოდეთ ამის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ყველანი მოვალენი ვართ საკუთარი თავისა და მომავალი თაობების წინაშე, ვიცოდეთ ჩვენი ოჯახის ისტორია, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მივიღოთ ექიმი-გენეტიკოსისაგან სათანადო ინფორმაცია და კონსულტაცია. აშკარაა იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, რომლებიც დაქორწინებას აპირებენ.

მუშაობის მოცემულ ეტაპზე რესპუბლიკურ სამედიცინო-გენეტიკურ კონსულტაციაში დანერგილია გენეტიკური კვლევის ციტოგენეტიკური (ქრომოსომების შესწავლა) და ბიოქიმიური (ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრული დეფექტების დასადგენი) მეთოდები, რომლებიც გამოიყენება არა მარტო ავადმყოფის დიაგნოზის დაზუსტების, არამედ პრენატალური დიაგნოსტიკის (ბავშვის დაავადების დადგენა მისი მუცლადყოფნის პერიოდში) მიზნითაც. ორსულთა ექოსკენირების საშუალებით კი შესაძლებლობა მოგვეცა აღმოვაჩინოთ ნაყოფის მძიმე, განვითარებადი სიმახინჯეები, როგორიც არის თავისა და ზურგის ტვინის თიაქარი, თავის ტვინის წყალმანკი, თავის ქალის განუვითარებლობა, კიდურების განვითარების დეფექტები და მრავალი სხვა. დღეისათვის ერთ-ერთი უმძიმესი მემკვიდრეობითი დაავადების — ფენილკეტონურიის ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით (მხოლოდ ადრეული დიაგნოსტიკა იძლევა ბავშვის გადარჩენის საშუალებას, დაგვიანებულ შემთხვევებში ასეთ ბავშვებს უკურნებელი, ძლიერი გონებრივი ჩამორჩენა უვითარდებათ) კონსულტაციაში ხდება საქართველოში დაბადებული, პრაქტიკულად ყველა ახალშობილის (დაბადებიდან მე-5-6 დღეზე) სისხლის სინჯის გამოკვლევა. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ბავშვი სასწრაფოდ გადაგვყავს სპეციალურ დიეტაზე.

დღეს, როცა ჩვენი ერის წინაშე მთელი სიმწვავით დგას დემოგრაფიული პრობლემა, როცა ჯანმრთელი თაობის ყოლა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა, საჭიროდ მიგვაჩნია საზოგადოებრიობამ იცოდეს, რომ აუცილებელია სამედიცინო-გენეტიკური სამსახურის შესაძლებლობანი და გენეტიკური კონსულტაცია, თუ ვინ, რატომ და როდის მოგვმართოს რჩევისათვის, დახმარებისა და მკურნალობისათვის.

ამჟამად 2000-ზე მეტი მემკვიდრეობითი დაავადებაა აღწერილი. ბავშვთა სიკვდილიანობის 40 პროცენტი მთლიანად ან ნაწილობრივ განპირობებულია გენეტიკური პათოლოგიით, ხოლო ბავშვთა საწოლების 30 პროცენტამდე ასეთ ავადმყოფებს უკავიათ.

საქართველოში ყოველწლიურად 4500-დან 5000-მდე ბავშვის დაბადებაა მოსალოდნელი ამა თუ იმ მემკვიდრეობითი და თანდაყოლილი დაავადებებით; შესაბამისად 4000-მდე ოჯახს სჭირდება სხვადასხვა სახის სამედიცინო-გენეტიკური დახმარება.

ცალკეული დაავადებების, სიტუაციებისა და პრენატალური დიაგნოსტიკის აქტუალური საკითხების განხილვას თანდათანობით მოგაწვდით ჟურნალის მომდევნო ნომრებში, რაც, ჩვენი აზრით, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

ირაკლი ჯოლოხავა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკური სამედიცინო-გენეტიკური ცენტრის ხელმძღვანელი.

## იუმორი

### თანაგრძნობა

საახალწლო მეჯლისზე, სადაც კარიერასა და წარმატებაზე ჩამოვარდა საუბარი, ერთ-ერთმა დამსწრემ დაიტრაბახა:

— როცა კარიერას ვიწყებდი, არა გამაჩნდა რა, საკუთარი ჭკუის გარდა.

— ო, მართლაც ძალზე მცირე კაპიტალით დაგიწყიათ! — მიუგო გვერდით მჯდომმა და ჭიქაში შამპანური დაუსხა.

### გაფრთხილება

საშობაო წირვის დასასრულს პასტორმა მრევლს მიმართა:

— ძმებო და დებო, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ შესაწირ ყულაბაში ლილი აღარ ჩააგდოთ! ბოლო მონაცემებით, ციური ანგელოზები ელვა-შესაკრავზე გადავიდნენ.

### თავზარი

მოახლემ დიასახლისთან მიირბინა და შეშინებულმა შესძახა:

— ქალბატონო! ქალბატონო! მუსიე ცუდად არის!.. იატაკზე დავარდა, ხელში რაღაც ანგარიში აქვს ჩაკუჭული და ხმამაღლა კვნესის...

— ჩინებულია! მაშასადამე, საახალწლოდ შეკვეთილი ჩემი კაბა უკვე მოუტანიათ.

### ჩიხში მომწყვდევა

— როცა ჩვენმა მეზობელმა, ბატონმა კრაუზემ ავეჯი გამოცვალა, მიბაძვით ჩვენც ახალი გარნიტური შევიძინეთ, — უთხრა მაიერმა მეუღლეს. — მოიტანა თუ არა მან ახალი ფართოეკრანიანი ტელევიზორი, მაიძულე, მეც ასევე მოვქცეულიყავი. იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რამდენი დაგვიჯდა ახალი მანქანა, რომლის ყიდვაც იმათ გამო მოგვიხდა! დაე, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ, ახლა რა ვქნათ?

— რა მოხდა?

— ახალი ცოლი მოიყვანა! — თქვა მაიერმა და შამპანურის ჭიქას დასწვდა.

### დარიგება

ფრთილაინ ჰილდეს მშვენიერებამ მომხიბლა და მინდა ცოლად შევირთო, თუმცა, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა კია! — უთხრა კარლმა მეგობარს.

— არ გამოგადგება! შენ ისეთი ქალი უნდა შეირთო, რომელსაც ორი ადამიანის ჭკუა ექნება! — მიუგო მან, ჭიქაში შამპანური დაისხა და ბედნიერი ახალი წელი უსურვა მეგობარს.





### გარანტია

— როგორ მოხდა, რომ სირბილში პირველი ადგილი დაიკავე? ყველა ვფიქრობდით, როგორც ყოველთვის, სულ ბოლოს მოჩანჩალდებოდი! — უთხრა ჰაინცს მეგობარმა საახალწლო მეჯლისზე.

— ასეც იქნებოდა, ჩემო კარგო, მაგრამ, გარბენის დროს დასვენება რომ გადავწყვიტე, თურმე კრაზანის ბუდეზე დავმჯდარვარ, — მიუგო მან და შამპანურით სავსე ჭიქა მოიმარჯვა.

### სიყალბე

საახალწლო წვეულების მეორე დილას ტელეფონმა დარეკა.

— მომიტევე, ძვირფასო! კარგად მახსოვს, წინადადება მოგეცი, რომ ცოლად გამომყოლოდი, მაგრამ, დამავიწყდა, თანხმობა მითხარი თუ არა?

— მე ის მახსოვს, „კი“-მეთქი, რომ ვთქვი, მაგრამ ის აღარ ვიცი, შენ გითხარი თუ სხვას!

### ლატარია

საშობაო მეჯლისზე გათამაშდა საქველმოქმედო ლატარია ღარიბთა დასახმარებლად. დიუპონმა ათი ბილეთი იყიდა და წააგო. ქუჩაში რომ გამოვიდა, დაინახა გლახა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა.

— ეგლა მაკლია, — ჩაიბურდღუნა დიუპონმა უკმაყოფილოდ, — შენს გამო ისედაც ხუთასი ფრანკი დავკარგე!

### გაგათილება

ცოლ-ქმარი შვებულებით გაემგზავრა. ვაგონის კუპეში რომ დაბინავდნენ, უცებ ცოლმა წამოიძახა:

— უთოს გამორთვა დამავიწყდა. ხანძარი არ გაჩნდეს!..

— ნუ წუხარ, ძვირფასო, მე სამზარეულოში ონკანი დამრჩა ღია, — დაამშვიდა ქმარმა და ჩანთიდან შამპანურის ბოთლი ამოიღო.



მიშელ მორუა

# ბრიუსელური მაქმანი

(ფრანგული ნოველა)

მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე



ოჰ, რა საუცხოო მაქმანია, ბრიუსელური, — აღტაცებით წამოიძახა ლამაზი ვიტრინის წინ შეჩერებულმა ქალბატონმა ვერიემ.

ჰო, ძალიან ლამაზია, — დაუდასტურა ქმარმა და ვიტრინას დაბნეული მზერა მიაპყრო.

— გუსტავ, ნახე, რა იაფია!

— ოოო, შენ სულ ეგრე იცი ხოლმე, ძვირფასო...

— არა, ამჯერად ნამდვილად ასეა, თანაც მულინისაა.

— აბა, რომელი?

— აი, ის, ყვავილებით მოქარგული, მბზინავი ძაფით შემოვლებული.

— ო, ასეთი კომპეტენტური თუ იყავი, არც კი ვიცოდი, ჩემო კარგო.

— მაქმანებს ვაღმერთებ. ეს ჩემი ერთი ყველაზე დიდი გატაცებაა.

— ოცდასამი წელიწადია, რაც ერთად ვცხოვრობთ და პირველად მესმის შენგან ასეთი რამ.

— შენ არასოდეს არ გესმის ჩემი. ჩვენთან, საფრანგეთში ასეთი მაქმანები სამჯერ უფრო ძვირი ღირს, თანაც, არ იშოვება.

— საზღვარზე გატანისას, საბაჟოში იმხელა ფასს დაადებენ, რომ იმ ფასად პარიზშიც შეიძლება შეიძინოს კაცმა.

— რას ამბობ, ასეთი მაინც არ იქნება, ბრიუსელური არშია მსოფლიოშია განთქმული.

— დარწმუნებული ვარ, მსგავსი არშიები პარიზის მაღაზიებშიც თავსაყრელი იქნება.

— არა, ძვირფასო, იქ ტულზე დამზადებული აპლიკაციებია, უხარისხო, ულამაზო. როგორც გეტყობა, არ გინდა, რომ ნამდვილი არშიები მქონდეს.

— აბა, ვინ გაარჩევს აპლიკაციას ნამდვილისაგან? ყოველ შემთხვევაში მე ვერა, ამასთანავე იმედი მაქვს, ჩემს მეტი არავინ ხედავს შენს საცვლებს.

— რა თქმა უნდა, ეს ხომ პატიოსნების ელემენტარული საკითხია.

— და კიდევ, ვფიქრობ, მაქმანები უკვე მოდაში აღარ უნდა იყოს, — თქვა ბატონმა ვერიემ იმ არგუმენტით, რომ გაგონილი ჰქონდა, ქალები როგორ ჰკარგავდნენ ჭკუას ნეილონისათვის.

— ფუი, — ზიზღით გამოხატა უკმაყოფილება ქალბატონმა ვერიემ, — ნეილონის საცვლები ტანწერილი ქალებისათვის მიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწონილი არ არის, მე, პირადად, აბრეშუმისა უფრო მომწონს, ნამდვილი მაქმანით განყობილი. ოჰ, როგორ მინდა, გუსტავ, რომ იცოდე.

— რაც უნდა იყოს, ჩვენ მას აქ ვერ ვიყიდით, ძვირფასო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი საზღვარზე განუცხადებლად გატანა აკრძალულია, მეორეც — საკმარისი თანხა თან არა გვაქვს, საბაჟო რომ გადავიხადოთ და, საერთოდ, გთხოვ, ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ.

— საბაჟოში დაწვრილებით არასოდეს არ აკონტროლებენ ბარგს, — ჩუმად ჩაიბუზღუნა ცოლმა.

— ერთხელ ვთქვი და გათავდა, ნუ გავიწყდება, საქმეზე რომ ვარ ჩამოსული, ოფიციალურ კონგრესზე, როგორც საფრანგეთის წარმომადგენელი და როგორც პასუხისმგებელი პირი, ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას, საბაჟო კანონი დავარღვიო.

— ო, რა მშიშარა ხარ! — მწარედ მიახალა ქმარს.

გუსტავმა მკლავი გაუყარა ცოლს და ფრთხილად მოაშორა ვიტრინას. რამდენიმე ნაბიჯზე ვეებერთელა საკონდიტრო მაღაზიის მადისმომგვრელად განყობილი ვიტრინა მრავალფეროვანი კანფეტებისა და შოკოლადების საარაკო არჩევანისკენ იზიდავდა გამვლელებს. როგორც კი ქალბატონმა ვერიემ ეს დაინახა, სახტად დარჩა და წამოიყვირა:

— ოჰ, ბელგიური შოკოლადი!

— რა? ბელგიური?

— ხომ იცი, გემოთი აღიარებულია ბელგიური შოკოლადები, მოდი, შევიდეთ, — ამჯერად ქმარმა ველარაფერი გაანყო და მორჩილად შეჰყვა.

— თუ შეიძლება, ოთხი კოლოფი, აი, ის შოკოლადი, გეთაყვა, — სთხოვა გამყიდველს ქალბატონმა ვერიემ და ლამაზად მოხატულ კოლოფებზე მიუთითა.

— ამდენი რად გინდა? ხვალამდე ერთ კოლოფსაც ვერ შეჭამ, ესეც არ იყოს, შენ ხომ ღვიძლი გტკივა, შეტევები დაგემართება, საღამოს ისედაც ბანკეტზე ვართ მიწვეული.

— დეიდა ლიზისათვის და დეიდა ნინისათვის მინდა.

— გგონია მათთვის სასარგებლოა ეს?

— აბა, ხელცარიელი ხომ ვერ დავბრუნდებით შინ, უხერხულია.

— მახლობელ ქალაქში ხომ არა ვართ, ორი დღით ვართ ბრიუსელში და, ვფიქრობ, აუცილებელი არ არის, მთელი ოჯახისათვის საჩუქრები წავიღოთ, თანაც შოკოლადი ამ პაპანაქება სიცხეში ხომ გადნება.

— ჩემი ფულით ვიყიდი, — თქვა ჯიუტად ცოლმა და საფულე გახსნა.

გუსტავმა მხრები აიჩეჩა და მაღაზიიდან უხმოდ გამოვიდა. ის, რასაც „თავის ფულს უწოდებდა მისი ცოლი, ეს იყო ნახევარი სამგზავრო თანხისა. ნაყიდით კმაყოფილი ქალბატონი ვერიე, ოქროსფერი ზონარით შეკრული ფუთით მაღაზიიდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით დაეწია გუსტავს. ორასიოდე მეტრი გაიარეს თუ არა, გუსტავმა მაქმანებით განყობილი სხვა მაღაზიის ვიტრინა შენიშნა და ცოლს რომ არ შეემჩნია, ქუჩის საპირისპირო მხარეს გაახედა.

— ხედავ, ძვირფასო, იმ მშვენიერ სახლს, რა ლამაზია! XV საუკუნისა უნდა იყოს, დააკვირდი გუმბათების ფორმას...

და უმალ მიხვდა, ცოლს რომ ვერაფერს გამოაპარებდა, ვიტრინასთან ძალიან ახლოს აღმოჩნდნენ. თავი სუსტად იგრძნო, თუმცა არ დაბნეულა. ცოლმა უმალ შენიშნა მდიდრულად განყობილი ვიტრინა და სიხარულისაგან წამოიძახა:

— აქ კიდევ უფრო კარგი არჩევანია.

გუსტავს მისი შეჩერება რომ არ მოესწრო, სწრაფად ჰკრა ხელი კარს და შიგ შევარდა. გუსტავი შეყოვნდა და დაფიქრდა, არ იცოდა რა ექნა, შეჰყოლოდა — ტვინს გაულაყებდა ისევ, მაქმანების შესახებ ლაპარაკით, არ შეჰყოლოდა და, იქიდან მის გამოსვლას საშველი არ დაადგებოდა. ბოლოს შესვლა გადაწყვიტა.

— გთხოვთ, ბრიუსელური საუკეთესო არშია მაჩვენოთ, ისეთი ვიტრინაში რომ დევს, დაახლოებით ოთხი თითის სიგანის. ძალიან კარგი იქნება პენუარის გასაწყობად.

გამყიდველმა ქალმა ნაირ-ნაირი არშიების ხვეულები ისე ფრთხილად გადმოუღო, გეგონებოდათ მუზეუმის ნივთები ყოფილიყოს.

— ხედავთ? რას ნიშნავს ნამდვილი მეოჯახე, უმალ იცნო ყველაზე საუკეთესო ხარისხის მაქმანი. სწორედ ამას გირჩევთ, ქალბატონო, გამძლეა, არ ვიწროვდება. ქსოვილი, რომელზედაც ამას მიაკერებთ, შეიძლება მალე გაცვდეს, დაიხეს, მაქმანი კი — უცვლელი დარჩება, ასე რომ, მისი მეორედ და მესამედ გამოყენება თავისუფლად შეიძლება, — უთხრა გამყიდველმა და თან დაუმატა: — გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს ძალზე ჭკვიანური არჩევანი იქნება და ამასთანავე, ეკონომიურიც.

— გესმის, გუსტავ, ეკონომიურიცო, — რა ღირს?

— ერთი მეტრი — 100 ფრანკი.

— სხვა დროს, ძვირფასო.

— აი, ის არშია რა ლამაზია, — ეუბნება ქალბატონი ქმარს,— დაახლოებით 20 მეტრი მჭირდება.

— ეს ხვეულა 25 მეტრიანია. უმჯობესია მთლიანად აიღოთ, სხვა დროს კიდევ რომ დაგჭირდეთ, ძნელი იქნება შეარჩიოთ ასეთივე არშია. ჩვენებური ნაწარმი უნიკალურია, — აუხსნა გამყიდველმა ქალმა. მან საჩვენებლად ხვეულა გაშალა. გაშლილი არშია ქალბატონმა სახესთან მიიტანა, სარკეში ჩაიხედა და კმაყოფილმა ქმარს უთხრა:

— რა კარგად მიხდება სახეზე, არა, ძვირფასო.

— ო, ახლა ამის დრო არ არის.

— ძალიან კი მინდა მქონდეს.

— ხვალ ვნახოთ, ახლა დავბრუნდეთ, ხომ იცი, მოხსენება მაქვს დასამთავრებელი.

უკმაყოფილო გამყიდველმა ხელახლა დინჯად აახვია არშია. თანაგრძნობით სავსე მისი მზერა ქალბატონისას დაემთხვა. ამ უკანასკნელმა დაღვრემით დატოვა მაღაზია და ქმარს ზანტად გაჰყვა უკან.

— აჰ, — ამოიხვნეშა მან, — რა მოსაბეზრებელია შენთან ერთად მოგზაურობა.

—ნეტავ როდის მოხვალ ჭკუაზე. შენი სისულელეების გამო ხიფათში უნდა ჩავიგდო თავი, კარიერა გავიფუჭო. უნდა გამიგო, მაღაზიებში სიარულს, უმჯობესია, მუზეუმები, გამოფენები დაათვალიერო, ეს რაღაცას მაინც შეგმატებს, გაგათვითცნობიერებს კიდეც.

— უცხო ქვეყნის სამრეწველო ნაწარმითაც უნდა დაინტერესდეს კაცი.

— კარგი, კარგი, პირობას გაძლევ, საფრანგეთში დაბრუნებისთანავე ვიყიდით ასეთ მაქმანებს.

ქალბატონმა ვერიემ მხრები აიჩეჩა. ორივე გაჩუმდა. ოჰ, ღმერთო! ეს ქალები ყოველგვარი ფათერაკების გადამკიდენი არიან ხოლმე, — ფიქრობდა გუსტავი, — მუდამ საბედისწერონი, ცხოვრებას რომ თავიანთი უაზრობებით ართულებენ. უცხო ქვეყანაში ხშირად უხდება მას სამსახურებრივი მისიით ჩასვლა და პოულობს დროს გაეცნოს ქვეყნის ისტორიულ ადგილებს, დატკბეს ლამაზი პეიზაჟების ცქერით, ინახულოს ესა თუ ის მუზეუმი, გამოფენა. ქალებს კი, ამის ნაცვლად ურჩევნიათ, ყველა მაღაზიაში ამოყონ თავი, როგორმე მოხვდნენ ბაზრობებზე და შეიძინონ მათთვის საჭირო თუ არასაჭირო საგნები. აი, სწორედ, ეგ არის უბედურება. გუსტავმა ცოლი ჩამოიყვანა იმისთვის, რომ სიამოვნება მიენიჭებია უცხო ქვეყნის გაცნობით, ის კი, აი, როგორ უხდის სამაგიეროს. ამ ფიქრებში იყო გართული გუსტავი, რომ უცებ ქალბატონ ვერიეს სურვილი გაუჩნდა, ქმრისათვის სიურპრიზი გაეკეთებინა და შესთავაზა სენტგუდულის ტაძარი დაეთვალიერებინათ. ამ წინადადებამ გუსტავი ძალიან გააკვირვა, მაგრამ, ამავე დროს ძალიან გაახარა კიდეც. თვითონ ქალბატონი ვერიე თითქოს ეკლებზე იჯდა, ისე გრძნობდა თავს, მაგრამ, დიდი ნებისყოფა გამოიჩინა, მოთმინებით უსმენდა გიდის საუბარს, რომელიც ცდილობდა ყოველი წვრილმანი გულდასმით აეხსნა მნახველებისათვის.

საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა. ბატონ ვერიეს მოხსენებას წარმატება ხვდა. არნახული ბანკეტი გვიან დამთავრდა.

მეორე დღეს ცოლ-ქმარს სადილი ელოდათ საფრანგეთის საელჩოში კონგრესის სხვა მთავარ წევრებთან ერთად.

დილით, სააბაზანოდან გამოსვლისას პენუარში გახვეული თმააწეწილი ქალბატონი ვერიე წარუდგა ქმარს.

— არა მგონია, შევძლო ასეთი ვარცხნილობით სადილზე წამოგყვე. საპარიკმახეროში უნდა შევიარო, თმებს დავიხვევ.

— არაფერი მესმის, წუხელ ბანკეტზე ჩინებული ვარცხნილობა გქონდა.

— ღამით ბალიშზე დამეშალა.

— ბიგუდები ხომ გაქვს, შეგიძლია თვითონ დაიხვიო.

— არ წამომიღია, დამავიწყდა.

— აქაური ოსტატები ისე ვერ დაგიხვევენ თმას, როგორც შენ გინდა.

— ვიცი, მაგრამ, სხვა გამოსავალი არა მაქვს, შენ ხომ არ შეგარცხვენ, ახლავე წავალ და მერე საელჩოში შეგხვდები სადილზე.

— როგორც გნებავს, — უპასუხა დამყოლმა ქმარმა.

როცა ქუჩაში გამოვიდა, თმები ხელით შეისწორა და საპარიკმახეროს ნაცვლად პირდაპირ იმ მაღაზიისაკენ გაემართა, გუშინ რომ იყო ქმართან ერთად. როგორც კი მაღაზიაში შევიდა, გამყიდველმა ქალმა იცნო და ღიმილით შეეგება;

— კარგად მოქცეულხართ, რომ მაინც გადაწყვიტეთ ჩვენებური არშიის ყიდვა, მერწმუნეთ, კმაყოფილი დარჩებით.

— ჰო, მაგრამ, ერთი რამ მაწუხებს, როგორ გადავიტანო საზღვარზე, განუცხადებლად რამის გატანა ხომ აკრძალულია?

— უბრალოდ, თქვენ მას წელზე მჭიდროდ შემოიხვევთ და ვერავინ შეგამჩნევთ.

— ტანზე გახდისას ან ჩაცმისას ხელს რომ შემიშლის?

— არავითარ შემთხვევაში, გენაცვალე, მაქმანი 3 სანტიმეტრის სისქისაა, ასე რომ...

— აბა, ვსინჯოთ, — შეაწყვეტინა ქალბატონმა. მის ხმაში თხოვნა გამოიკვეთა.

გამყიდველმა ქალმა ის უკანა ოთახში გაიყვანა. ქალბატონმა კაბა გადაიძრო. გამყიდველმა მას წელზე 25 მეტრი არშია ისე შემოახვია, თითქოს ჭრილობას უხვევდა. კაბა დიდი გაჭირვებით ჩაიცვა, თავს შებოჭილად გრძნობდა, თითქმის მთელი ფული იქ დატოვა.

საელჩოში თავი უკვე მოეყარა მოწვეულ ხალხს. ქალბატონმა, როგორც იქნა, მოძებნა ქმარი. ამ უკანასკნელმა მზერა მის ვარცხნილობაზე შეაჩერა, რაც უმალ შენიშნა ცოლმა.

— ოჰ, გუსტავ, ძვირფასო, — დაიკვნესა წყნარად ქალმა, — პირდაპირ აუტანელია, რატომ არ დაგიჯერე, ნახე, როგორი ვარცხნილობაა, სულ არ მომწონს, გუშინ უკეთესად მქონდა, თანაც მთელი ფული დამატოვებინეს...

— საბედნიეროდ, აქ, ჩვენ მზამზარეულზე ვართ, მაგრამ სისულელეა ფულის ასე უმიზნოდ ფლანგვა.

— როგორ, რაც მე მინდოდა, ხომ არ მაყიდინე, მეტი რა გინდა.

—კარგი, კარგი, ნუ დავიწყებთ თავიდან, ირგვლივ ხალხია, უხერხულია.

ისინი მიწვეულებთან ერთად მაგიდას მიუსხდნენ. სადილი დიდხანს გაგრძელდა. ქალბატონი ვერიე სულს ძლივს ითქვამდა წელზე შემოხვეული მაქმანების გამო, ვერაფერს მიირთმევდა, ცოტაც და ალბათ, გული წაუვიდოდა, ოფლმა დაასხა სახეზე და ცხვირსახოცით იშრობდა, სუნთქვა უჭირდა.

სადილი დამთავრდა. ჩქარი მატარებელი პარიზისაკენ უკვე გასულიყო. საჭირო შეიქნა ტაქსის დაქირავება, სასტუმროდან ჩემოდანი წამოიღეს და პირდაპირ ვაგზლისკენ გასწიეს.

— ფერი არ გადევს, — ეუბნება გუსტავი ცოლს, — ხომ არ დაიღალე?

— ოჰ, ეს ბანკეტები...

— ალბათ, შოკოლადი ბევრი მოგივიდა.

— შესაძლოა.

— ეს კაბა ცოტათი ხომ არ გიჭერს?

— ჰო, შინ რომ მივალთ, გვერდებში მოვუშვებ, მღებავთან მქონდა მიტანილი და, როგორც ჩანს, დავიწროებულა.

— მე მეგონა...

მანქანამ ქუჩაზე გაუხვია, სადაც მაქმანების მაღაზიები იყო ჩამწკრივებული. გუსტავმა დამნაშავესავით გადახედა ცოლს, რომელსაც სუნთქვა აჩქარებოდა.

არა ვარ მართალი, — წამით ჩაფიქრდა კაცი, — მას ისე უნდოდა მაქმანები, მე კი... თანაც იმის მერე აღარ უხსენებია.

— თუ გსურს პატარა სუფრას გიყიდი, ძვირფასო, ასიოდე ფრანკი შემომრჩა, — დაყვავებით მიმართა ცოლს.

— არ მინდა, გმადლობთ, — ზიზღით გამოსცრა ქალმა, — არშიებიანი სუფრა მოდაში აღარ არის.

გუსტავი გააბრაზა ასეთმა პასუხმა და თავი მეორე მხარეს მიაბრუნა.

მატარებელში ჩასხდნენ. ქალბატონ ვერიეს დაჭიმული ნაკვთები და ცუდი იერი ჰქონდა. გუსტავი ამას თავისებურად განიცდიდა. მას უყვარდა ცოლი, მაგრამ რატომღაც უარი უთხრა მაქმანის შეძენაზე. ვითომ, რატომ არ უნდა გადაეხადა ამისათვის საბაჟო? დე, ჰქონოდა მას. მართალია, ქალები, უმეტესად მოკლეჭკუისანი, დიდი თვისებებით არიან დაჯილდოებულნი, უნარი შესწევთ ისურვონ მათაც ჰქონდეთ, თუნდაც მაქმანები, ისე როგორც ერთ დროს თავად სურდა დაუფლებოდა საპატიო ლეგიონის წითელ ლენტს... აკი მიაღწია კიდეც მიზანს.

მატარებელი ყველა პატარა სადგურში ჩერდებოდა. ბელგიის საბაჟოს გასასვლელი ისე გაიარეს, არაფერი შეუმჩნევიათ. ორმა ფრანგმა მებაჟემ სირბილით გაიარა ვაგონის დერეფანი, ერთ-ერთი მგზავრებს ეკითხებოდა:

— ხომ არაფერი გაქვთ გამოსაცხადებელი?

— არაფერი, — იყო ერთიანი პასუხი ყველა კუპედან.

ქალბატონი ვერიე გაქვავებული იდგა ფანჯარასთან და გაჰყურებდა მეორე ლიანდაგზე მდგარ მატარებელს, რომლის მგზავრებსაც საბაჟოს მოხელეები ამოწმებდნენ. გუსტავს ცოლის პოზა აშინებდა, ეჭვები ტვინს ულრღნიდა, გაოგნებული იყო. იმედი ჰქონდა, ვერც ჩემოდნებში და ვერც ხელჩანთებში აკრძალულს ვერაფერს უპოვნიდნენ, დიახ, ვერაფერს. ამის გამო მას შეეძლო გულის სიღრმეში ეზეიმა, მაგრამ, უმალ წარმოიდგინა — რაიმე რომ უპოვონ, რა მოხდება მერე? გამოიკვეთებოდა მისი სულმოკლეობა, დანაშაული. უცებ თავში რაღაც აზრმა გაუელვა, სწრაფად წამოდგა, მატარებლიდან ჩამოვიდა და იმ ორ ფრანგ მებაჟეს, სასამსახურო ჯიხურისაკენ რომ მიემართებოდნენ, გამოედევნა.

— ბატონებო! ჩემს კუპეში ერთი ქალია, მისი პოზა მაფიქრებს, რაღაცას უნდა მალავდეს. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ... თქვენი ჩავლის შემდეგ შევება იგრძნო, შეგიძლიათ ჩემოდანი გაუსინჯოთ.

მებაჟეებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

— სად არის ის ქალი?

— მეცხრე ვაგონის მესამე კუპეში, ფანჯრის კუთხეში დგას.

გუსტავი მათ შორიახლოს გაჰყვა, შემდეგ იქვე გაზეთების კიოსკს მოეფარა და იქიდან დაუწყო თვალთვალი.

მებაჟეები ქალბატონ ვერიესთან მივიდნენ. იგი სივრცეს გაჰყურებდა და სუნთქვის შესამსუბუქებლად ცხვირსახოცზე დაწვეთებულ ოდეკოლონს წამდაუწუმ ყნოსავდა. მებაჟების დანახვაზე შეკრთა.

— სად არის თქვენი ჩემოდანი? — ჰკითხა ერთ-ერთმა მებაჟემ.

— ზემოთ, თაროზე, თეთრი ფერის.

— გთხოვთ, გამოგვყევით, ჩხრეკა უნდა გაიაროთ, — უთხრეს მას და ხელი დაავლეს მის ჩემოდანს. ქალს მკვდრისფერი დაედო, თვალებით ქმარს დაეძებდა, მაგრამ იგი სადღაც გამქრალიყო.

შერცხვენილმა გუსტავმა დაინახა, როგორ ჩამოსვეს მისი ცოლი მატარებლიდან. თუ წაიყვანდნენ, არ ეგონა, თუმცა, ასეთ სასჯელს იმსახურებდა. გუსტავი იმედოვნებდა, რომ ეს უკვალო თავგადასავალი უზრუნველყოფდა მომავალში მის სულიერ სიმშვიდეს, კარგ ავტორიტეტს.

დრო გადიოდა. მატარებლის შესამოწმებლად განკუთვნილი ათი წუთი ამოწურულიყო. ბატონ ვერიეს სერიოზული შეშფოთება დაეტყო. ყველა მგზავრს თავის ადგილი უკვე დაეკავებინა, გარდა ცოლ-ქმარ ვერიეებისა. გუსტავი მეტისმეტად აღელდა. საზღვრის ერთ-ერთ მოსამსახურეს შეეკითხა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენ ხანში გავა მატარებელი:

— 25 წუთში, — უპასუხა მოსამსახურემ და პორტიერი დახურა.

ელდანაცემმა ბატონმა ვერიემ ზერა იმ კუპისაკენ მიაპყრო, სადაც მისი ჩემოდანი იდო. მან დაინახა, თუ როგორ დაიძრა მატარებელი. შუბლზე ოფლმა დაასხა. საბაჟოს ჯიხურთან მისვლას ვერ ბედავდა იმის შიშით, რომ გაიგებდნენ მის ვინაობას, მერე დასცინებდნენ და, შესაძლოა, გაემხილათ ცოლისთვის, ქმარმა დაგაბეზღაო. მატარებლიდან ჩამორჩენა — ყველაფერი ეს ხომ კატასტროფა იყო, როგორ აიტანდა ყოველივე ამას მისი ცოლი? ბოლოს, მაინც, გაბედა და უცბად შეიხედა ნახევრადღია ფანჯარაში. ფანჯრის მიღმა, შეშლილის სახით სკამზე მჯდარი თავისი ცოლი შენიშნა. მას უსწორმასწოროდ შეკრული მანტო და აწეწილი თმები ჰქონდა. ბატონი ვერიე პანიკამ შეიპყრო. ამ დროს ჯიხურიდან ახალგაზრდა გამოვიდა.

— რა ხდება იქ? — ჰკითხა ალგზნებულმა გუსტავმა, ვინმე ავად ხომ არ არის?

— არა, ერთი კარგი ქალია, ვილაც მგზავრმა დააბეზღა და გაჩხრიკეს, წელზე შემოხვეული მაქმანები უნახეს, ნერვიული კრიზი დაემართა. სულ იმას გაიძახის, ქმარი მომკლავს, რადგან დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევსო.

ამის გაგონებაზე გუსტავ ვერიე კედელს მიეყრდნო და ჰალსტუხი მოუშვა.

ფრანგულიდან თარგმნა **იონა ბადავიძემ**

# ღმერთი შეგეწევათ

## გულმოწყალება

კედლად
დავუდგეთ
პატარებს,
დედ-მამისაგან
მიტოვებულებს,
უპატრონოებს,
ავადმყოფებს.
დაე, მათ სახეზე
მუდამ
იყოს
ღიმილი!



თბილისის ძველთაძველი უბნის ერთ პატარა სახლში უდევს ბინა საქართველოს ბავშვთა ფონდს. აქაურობას ბევრი ხელმოკლე, მარტოხელა, მიუსაფარი და გაჭირვებული უნახავს. მოდიან საქართველოს ყველა კუთხიდან, ყოველ დროს. მოდიან, დახმარებას ელიან და არც თუ ამაოდ. ძველი სახლის პატარა ოთახები უამრავ სითბოს, ყურადღებას, გულისხმიერებას იტევენ. აქ მოსული კაცი უკან ნაწყენი და გულნაკლული არასოდეს ბრუნდება.

## ნუ მიატოვებ

*ბორჯომი*, სოფელი ცემი, ასთმიან ბავშვთა ინტერნატი. შემოდგომაა, გადაუღებლად წვიმს. მაღლა მთებში შეყუჟული შენობისაკენ მიმავალ გზას ათიოდე კაცი მიუყვება.

ერთადერთი ტრანსპორტი, რითაც ინტერნატამდე მისვლა შეიძლება, ელექტრომატარებელია. სადგურიდან შენობამდე კი გრძელი გზაა ფეხით სავალი. ფანჯრებს მომდგარი ბავშვები გაოცებით გაჰყურებენ მათკენ მიმავალ უცხო სტუმრებს.

ზამთრობით ინტერნატში ორმოციორმოცდაათი ბავშვილა რჩება. ზაფხულობით ათასზე მეტნიც არიან. ათას ბავშვს ათასი საზრუნავი უნდა მოუგვარონ უფროსებმა, უპირველესად, ჯანმრთელობის საქმე. არავინ იცის ასთმიან პატარებს როდის შემოუტევს ავადმყოფობა, როდის დასჭირდება ექიმის მზრუნველი ხელი. ექიმისა, რომელიც დიდი ხანია არავის უნახავს ინტერნატში. უმისობას კიდევ აიტანდა კაცი, გზა რომ იყოს ხეირიანი და სასწრაფო დახმარების გამოძახება მაინც შეიძლებოდეს. ზაფხულობით კიდევ რალაცის იმედი უჩნდებათ ინტერნატის ბინადართ. დადგება ზამთარი, ჩაიკეტება გზები და მორჩა... მხოლოდ ღვთისა და ბედის ანაბარაღა რჩებიან პატარა პაციენტებიცა და მათი მომვლელებიც.

ის უცხო სტუმრები კი, ვისაც ახლა ასე გაოცებით შეჰყურებენ გოგო-ბიჭები, ბავშვთა ფონდისა და ასოციაცია „სავანეს" წევრები არიან. ამ წვიმიან დღეში, ტალახსა და უგზოობაშიც იმიტომ შეიწუხეს თავი, რომ პატარებისათვის სიხარული და დახმარება მიეტანათ.

ბავშვებს საჩუქრები უხარიათ, ინტერნატის ექთანს კი წამლები, უამრავი დასახელების, უცხო, აქამდე უცნობი სამკურნალო პრეპარატები. სინჯავს თითოეულ მათგანს და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს. მერე კალმისტარმომარჯვებული ჯდება და საგულდაგულოდ იწერს, რა რისთვის გამოდგება, ვის დაალევინოს, რა დოზით და დღეში რამდენჯერ.

ნეტა ადრეც გახსენებოდა ვინმეს, რომ ასთმიან ბავშვებს, მშობლების ზრუნვას მოკლებულებს, აუცილებლად სჭირდებათ ექიმი, ყოველდღიური ზედამხედველობა, ამგვარ ავადმყოფებს ისე უცებ შეიძლება დაუდგეთ კრიტიკული მომენტი, გარედან დახმარებამ ვერც კი მიუსწროს.

ნეტა, ადრეც გახსენებოდა ვინმეს ბედის ანაბარად მიტოვებული ბავშვები?!

## პური არსობისა

თბილისის ზღვაზე ერთი უცნაური სახლი დგას. უცნაური თავისი დანიშნულებითა და ფუნქციით. სახლი, რომლისოდენა სიკეთესა და ქველმოქმედებას ბარე ათასი სასახლეც ვერ დაიტევს.

უცხოელმა ფსიქიატრებმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ამგვარი დასკვნა გამოიტანეს: დიდი ძალისხმევის შედეგად გონებადაქვეითებულ ბავშვებს შეიძლება შეასწავლო რაიმე ხელობა, ერთი კონკრეტული საქმე. თუ შეისწავლეს, მერე ისი-

ნი ისე ოსტატდებიან, რომ ვერც ერთი კარგი სპეციალისტი მათ ვერ შეედრება.

სწორედ ამ აღმოჩენამ გადააწყვეტინა ახალგაზრდა ფსიქიატრებს, გაეხსნათ გონებადაქვეითებულ ბავშვთა სახლი და მათთვის ხელობის სწავლებას შესდგომოდნენ.

თუ ეს სახლი დღეს არსებობს და მყარად დგას ფეხზე, ეს ბავშვთა ფონდის დამსახურებაც არის. იგი ახალგაზრდა სპეციალისტებს სისტემატურად ურიცხავს და მომავალშიც გადაურიცხავს თანხებს.

გავა დრო, ავადმყოფი ბავშვები, დღეს რომ ბევრი პატრონი და მიმხედი ჰყავთ, ოდესმე მარტოდ დარჩებიან და, ალბათ, შიში აღარაფრის ექნებათ, რაკი საკუთარი ხელით თავის რჩენა შეეძლებათ.

## არა უბრალოდ თავშესაფარი

თუ ერთხელ მაინც გაგივლიათ სოფელ ზემო ბოდბეში (სიღნაღის რაიონი), აუცილებლად შეამჩნევდით გზის პირზე განმარტოებით მდგარ სამსართულიან შენობას. ეზოში მუდამ ჟრიამული და ბავშვების სიმრავლეა. უცხო თვალი ვერაფრით დაუკავშირებს ერთმანეთს პატარების მხიარულებასა და ამ ჩამონგრეულ, დაქცევის პირას მისულ ნაგებობას. არადა, ეს სახლი ავადმყოფ ბავშვთა მუდმივი სამყოფელია. არც სახელი აქვს ურიგო — „ბოდბის სკოლა-ინტერნატი".

გულშემატკივარი კაცი იქ ავადმყოფს კი არა, ჯანმრთელ ბავშვსაც არ გააჩერებს: სანახევროდ სახურავმოხდილი, კედლებჩამონგრეული ავარიული შენობა, უწყლოდ, უაბაზანოდ დარჩენილი ბავშვები...

ის გულშემატკივარი კი, ვინც ავადმყოფი პატარების თავშესაფარზე იზრუნა, ბავშვთა ფონდია. სკოლა-ინტერნატის რეკონსტრუქციისათვის გამოყვეს 200 ათასი მანეთი. ამ თანხით შეიძენენ რამდენიმე უცხოურ კოტეჯს, დადგამენ, მოაწყობენ და ახალსახლობასაც დაულოცავენ პატარებს.

მერე ყოველ კოტეჯში ერთად იცხოვრებს ათი-თორმეტი ბავშვი, სწორედ ისე, როგორც მრავალშვილიან ოჯახებში ხდება. ექნებათ კეთილმოწყობილი, მყუდრო ბინები, რომლებიც აღარ მოგვაგონებს თავშესაფარს.

ღმერთი შეგეწევათ ყველას, ვისაც არასოდეს გავიწყდებათ პატარა მარტოხელების, გაჭირვებულების არსებობა!

ღმერთი შეგეწევათ!

**მანანა ჯორბენაძე**





ბონდო ზარნაძე

# ფირმა „ეკონომიკა"

**პრობლემა**

საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა რესპუბლიკურ კავშირთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საკონსულტაციო ფირმა „ეკონომიკა" ამ ორიოდე წლის წინ შეიქმნა. მისი არსებობის მიზანია საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისათვის ხელშეწყობა, აქტიური მონაწილეობის მიღება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღწევისა და განმტკიცებისათვის მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაში.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტს, უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტს, საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების პრემიის ლაურეატს **ბონდო ზარნაძეს**.

**— ბატონო ბონდო, დღეს ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როცა ძალზე მწვავედ დგას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხი, ვფიქრობ, თქვენი ფირმის არსი და დანიშნულება ბევრ აქამდე ბურუსით მოცულ საკითხს მოჰფენს ნათელს და სიცხადეს შეიტანს თვით ადამიანის ყოველდღიურ ყოფაშიც.**

— ფირმა „ეკონომიკა" 1988 წლის აგვისტოში შეიქმნა, როგორც ორგანიზაცია, რომელმაც იკისრა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მეურნეობის გაძღოლის იმ პრინციპულად ახალი ფორმებისა და მეთოდების კვლევა და დანერგვა საქართველოს ეკონომიკაში, როგორიც არის იჯარა, სააქციო საზოგადოებები, მცირე მეწარმეობა, ასოციაციები, კონცერნები და სხვა.

კავშირი თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად სახავს, ხელი შეუწყოს საწარმოთა და ორგანიზაციათა იჯარულ აქციონერულ ფორმებზე გადაყვანით სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილის განსახელმწიფოებრიობას, ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ყოველგვარი დიქტატისაგან თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას.

**— რას გვეტყოდით თქვენი ფირმის კადრებსა და მათ საქმიანობაზე?**

— ჩვენს ფირმაში ხელშეკრულებით მოწვეულ პირებთან ერთად 50-ზე მეტი თანამშრომელია, რომელთა უმრავლესობას აქვს მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხი, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სამსახურებში მუშაობის სტაჟი. ეს აუცილებელი პირობაა აქ მუშაობისათვის, რამდენადაც მეცნიერი ეკონომისტი უპრაქტიკოდ ვერასოდეს ვერ მისცემს საჭირო რჩევას საწარმოს გამოცდილ ხელმძღვანელს.

ამ ორიოდე თვის წინ ჩვენს ფირმასა და უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტების კათედრას შორის დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც შეიქმნა გაერთიანება „ეკონომიკა", ეს კი, ვფიქრობ, სარგებლობას მოგვიტანს ჩვენც და ამ კათედრასაც.

დღეს უფრო ნაკლებს ვლაპარაკობთ საბაზრო ეკონომიკის თეორიულ საკითხებსა და პრობლემებზე და ვცდილობთ საქართველოს ეკონომიკის პრაქტიკაში საქმით დავნერგოთ საბაზრო ეკონომიკი თუ შეიძლება ასე ითქვას, ნებადართული ელემენტები.

მაგალითად, ჩვენ უკვე ვქმნით კერძო საწარმოებს, რამდენიმე საწარმოს დავუმუშავეთ დოკუმენტაცია მათი პრივატიზაციის მიზნით. პირველი სააქციო საზოგადოებაც საქართველოშიც ჩვენ შევქმენით. ფირმა „ეკონომიკა" ეროვნულ საქმეს აკეთებს და საფუძველს უყრის დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ეკონომიკას. მის მიერ არჩეული გზა უეჭველად მიიყვანს ქართველ ხალხს ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოს ტაძრამდე.

**— რა კავშირი აქვს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირს ფირმა „ეკონომიკასთან"?**

— წლევანდელი ივლისიდან, როცა ჩამოყალიბდა საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა თავისუფალ მეწარმეთა კავშირი, ჩვენი ფირმა შევიდა მის შემადგენლობაში და ამიერიდან ამ კავშირის ეგიდით მოქმედებს.

სიახლეთა დანერგვა კი ნებისმიერ სფეროში, მითუმეტეს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის დიქტატის პირობებში, სამინისტროთა, უწყებათა გაერთიანებებისა და ტრესტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფაქტობრივად თავგანწირვას უდრის. რა გზით არ უტეხენ მათ სახელს, ცოტაც და, ლამის მოღალატეებად გამოაცხადონ.

**— რაშია საქმე?**

— საქმე ის არის, რომ ეკონომიკური ბიუროკრატია და უპირველეს ყოვლისა, აგროსამრეწველო კომიტეტის მართვის უზარმაზარი აპარატი ფერმერულ-კოოპერაციულ კერძო მეურნეობათა შექმნის შემდეგ კარგავს არსებობის ფიზიკურ საფუძველს — მიწას, ფაბრიკა-ქარხნებს.

აი სწორედ ამ უმწვავეს პრობლემებთან ჰქონდა და აქვს ფირმა „ეკონომიკას" ამ ორი წლის მანძილზე შეხების უშუალო წერტილები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულმა მოამწიფა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ეკონომიკაში სიახლის დამნერგავ ადამიანთა და არენდატორთა და თავისუფალ მეწარმეთა სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დამცავი ორგანიზაცია. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირი.

ამჟამად იწყება ჩვენი კავშირის პირველადი რგოლების შექმნა ცალკეულ რაიონებში, ქალაქებში, სოფლებში, საწარმოებში, რომლებიც ადგილზევე შეასრულებენ იმ ფუნქციებს, რასაც ფირმა „ეკონომიკა" და მთლიანად კავშირი ასრულებს.

**— თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად გვქვათ კავშირის მიზნებსა და ამოცანებზე.**

— ჩვენი მიზანია ყოველ არენდატორს, კოოპერატორს, აქციონერს, თავისუფალ მეწარმესა და, საერთოდ, ყველა პატიოსან ბიზნესმენს, შევუქმნათ მაღალი სოციალური სტატუსი და საზოგადოებრივი ავტორიტეტი.

ჩვენი კავშირი მომავალში უფრო მეტად შეუწობს ხელს წევრების საფინანსო-კომერციული საქმიანობის განვითარებას.

თავისი წევრების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობის მიზნით ჩვენს კავშირში იქმნება კომერციული ცენტრი. უპროცენტო სესხს მივცემთ კავშირის იმ წევრებს, რომლებიც ხელს ჰკიდებენ პერსპექტიულ საქმეს.

გადავწყვიტეთ თბილისში შევიძინოთ და კეთილმოვაწყოთ სავაჭრო ქსელის ობიექტები და ისინი გადავცეთ იმ არენდატორებს, ფერმერულ მეურნეობათა წარმომადგენლებს, რომლებსაც საშუალება აქვთ, სისტემატურად შემოიტანონ ქალაქში სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

უკვე შევქმენით არენდატორების, კოოპერატორებისა და მცირე საწარმოთა წარმომადგენლებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის, დაბეგვრის კურსები. პირველი მსმენელები მალე მიიღებენ მოწმობას შესაბამისი კვალიფიკაციით.

კავშირი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოიყენებს ყველა კანონიერ საშუალებას თავისი წევრების ინტერესების დასაცავად.

**— ბატონო ბონდო, როგორც საუბრიდან გაირკვა, თქვენი ფირმის ფუნქციები მრავალწახნაგოვანია. ცხადია, იგი გარკვეულ წვლილს შეიტანს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებითაც.**

— დღეს უმრავლესობამ ირწმუნა, რომ ჩვენთან შექმნილი კატასტროფული ფინანსურ — ეკონომიკური სიტუაციიდან არსებობს ერთადერთი გამოსავალი — ეს არის რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ, ერთია სწორი მიზნის დასახვა, მეორეა ამ მიზნამდე მისასვლელი იმგვარი გზის მონახვა, რომელიც ნაკლებ მსხვერპლს და სოციალურ კატაკლიზმებს მოიცავს. ჩვენთან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უდიდესი ხელშემშლელი ფაქტორია ის, რომ ხალხს აღარ სჯერა დაპირებების. მაშასადამე, საჭიროა ნდობის ფაქტორიც.

**— ჩვენ ვახსენეთ სიტყვა ეროვნული ეკონომიკა. რას ვგულისხმობთ ამ ცნებაში?**

— საქმე ის არის, რომ ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში აქვს მეურნეობის გაძღოლის საკუთარი, ძირძველი, ეროვნული ტრადიციები. ქართველი ერი ოდითგანვე უვლიდა ვაზს, მოჰყავდა პური, რომელიც მისი საფიცარი იყო, მსოფლიოში სახელგანთქმული აბრეშუმი, ქართული ფუტკარი, ღვინო, მინერალური წყლები, ჰქონდა კურორტები, მარმარილო, ჭედურობა, ხალხური მედიცინა, ქართული ფოლადი... უამრავი სხვა ფაქტორის დასახელებაც შეიძლება, მაგრამ აქ შევჩერდეთ.

ქართველი ხალხი ამ სახის მეურნეობას იმიტომ ეწეოდა, რომ სწორედ ჩვენთან იყო შექმნილი შესაბამისი პირობები შრომის მინიმალური დანახარჯებით ყველა ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოებისა. საქართველოში საბაზრო ეკონომიკა სწორედ ამ ეროვნულ ტრადიციებზე უნდა აღმოცენდეს.

**— და მაინც რა უნდა გაკეთდეს უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად?**

— ჯერ ერთი, საჭიროა ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის, სამინისტროებისა და უწყებათა მიერ ბორკილდადებული საკომანდო ეკონომიკის დემონტაჟი.

მეორე, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებათა დაშლა ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ რამდენიმე მსხვილ კონცერნად და ასოციაციად.

მესამე, საკუთრების რეალური მრავალფეროვნების (პლურალიზმის) დაშვება, საკუთრების განსახელმწიფოებრიობის (პრივატიზაციის) პროცესის დაუყოვნებლივ დაწყება.

მეოთხე, გლეხობისათვის მიწების მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით გადაცემა. შემდგომში კი საკითხი უნდა დადგეს საქართველოს მოქალაქეთათვის მათი საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

და, მეხუთე, ჩვენი ეკონომიკური ორგანიზმი იმდენად არის დაუძლურებული რომ სხვის დაუხმარებლად იგი ფეხზე ვერ წამოდგება, ამიტომ, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია საქართველოში რამდენიმე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს ზღვისპირეთს. ამასთან, თავისუფალი ეკონომიკური ზონები ჩვენთან უნდა შეიქმნას მხოლოდ გარკვეული ვადით — 15-20 წლით, რის შემდეგაც ამ ზონის ყველა საწარმო და მთელი კაპიტალი ეროვნულ საკუთრებაში უნდა გადავიდეს და განხორციელდეს მათი პრივატიზაცია საქართველოს მოქალაქეებზე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა საქართველოსთვის უნდა გახდეს ის ფანჯარა, რომლის საშუალებითაც საბაზრო ეკონომიკამ უნდა შემოაბიჯოს ჩვენთან და რის საფუძველზეც უნდა ვისწავლოთ საბაზრო ურთიერთობების მართვა, კერძოდ — მარკეტინგი, ბიზნესი, საფონდო და სასაქონლო ბირჟების ორგანიზაცია და, საერთოდ, კომერციული საქმიანობა.

საზოგადოების სამსახურში ჩაყენებული ბაზარი კი არის ის რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, რომელზეც გადასასვლელადაც ვემზადებით.

**— და ბოლოს, გვიშველის საბაზრო ეკონომიკა?**

— ამ კითხვაზე მე ასე გიპასუხებთ: შეხედეთ ჩინეთს, რომელმაც ფაქტობრივად შიმშილის ზღვარზე მისულმა 1978-79 წლებში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის ცალკეული ელემენტების დანერგვა; შეხედეთ პოლონეთს, უნგრეთს თუ სხვას, არაფერს ვიტყვით ჩვენს მეზობელ ჩამორჩენილ თურქეთზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახლად მომძლავრებულ ქვეყნებზე. მათ მიერ მიღწეული შედეგები ნათლად ადასტურებენ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ძირითადი მიმართულების სისწორესა და აუცილებლობას.

აი ეს არის ცხოვრებისეული ფაქტები.

ფაქტი კი, როგორც იტყვიან, ჯიუტია.

**ესაუბრა ნუნუ კუპრეიშვილი**



საქართველოს ეროვნული

ლეილა ცერცვაძეს საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი, მაგრამ დაღლამდე ჯერ კიდევ შორია. დაუოკებელმა რომანტიკამ და ახლის შეცნობის სურვილმა სად არ ატარა, სად არ აცხოვრა და დიდი ენერგიითაც აავსო!

იგი დაიბადა თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში. მამა — კონსტანტინე ცერცვაძე ცნობილი ეკონომისტი იყო, უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული. დედა — ნინო გერასიმეს ასული ცერცვაძე (ამჟამად 88 წლის) დღესაც ნათელი გონებითა და დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მან პირველმა მიიღო დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება. მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. შექმნა ქიმიისა და მეტალურგიის ინსტიტუტების ბიბლიოთეკა და ათეული წლების მანძილ-



# სად იყო და სად არა...

ზე ედგა სათავეში. ქალიშვილი და სიძე მხატვრები არიან, ჰყავთ ორი ვაჟი. ქალიშვილი საკუთარ ლექსებზე ქმნის მუსიკას.

ქალბატონი ლეილა სწავლობდა თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში, გამოირჩეოდა კარგი სწავლით, თავისი პედაგოგის, ამჟამად ცნობილი მწერლის ვახტანგ ჭელიძის საოცარი გაკვეთილების გავლენით შეიყვარა ინგლისური ენა და ლიტერატურა, დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი გამოჩენილი პედაგოგების — ერეკლე ტატიშვილის, ვენერა ურუშაძის, მერი იანქოშვილის, გივი გაჩეჩილაძის, მიხეილ კვესელავას, გიორგი ახვლედიანის, კოტე ბაქრაძის, ბესარიონ ჟღენტის ხელმძღვანელობით და იქვე დაიწყო მუშაობა ინგლისური ენის მასწავლებლად.

ლეილა ცერცვაძე ცოლად გაჰყვა მედიცინის მაიორს შოთა ქართველიშვილს და მასთან ერთად გაემგზავრა შორეულ სახალინზე. დატოვა თბილისი, გამზადებული საკანდიდატო დისერტაცია და შეუცნობელის შესაცნობად, აუხდენელის ასახდენად სახალინზე აღმოჩნდა. ახალ გარემოსთან შეგუებას მას უადვილებდა ღირსეული მეუღლე. იგი 22 წლისა სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა, ცხოვრების მკაცრი გამოცდა გაიარა და ომის შემდეგ სახალინზე მოღვაწეობდა. შოთა ქართველიშვილის ახალგაზრდა მეუღლე ქალბატონი ლეილა განაცვიფრა სახალინის ეგზოტიკამ. თუ ადრე მის წარმოდგენაში ეს ადგილი მხოლოდ გადასახლებულთა საცხოვრებელი ეგონა, ახლა აზრი შეიცვალა, მოიხიბლა აქაურობით — ხშირად ეწვეოდა ხოლმე დიდი რუსი მწერლის ჩეხოვის სახლ-მუზეუმს ქალაქ ალექსანდროვკაში, დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას, მის განათლებას მოჰკიდა ხელი. სულ მალე ცოლ-ქმარი სამხრეთ სახალინზე, იაპონიის ყოფილ ტერიტორიაზე გადაიყვანეს. აქ ლეილას სრულიად უჩვეულო იაპონური ქალაქი დახვდა, თავისი სტილითა და ყოფით. მისი მეუღლე აქაც პოლკის ექიმად მუშაობდა, და როგორც ძველი ტანმოვარჯიშე, სპორტულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი გუნდის კაპიტანი იყო და სპორტულ შეჯიბრებებს მართავდა სამხედრო ნაწილებს შორის.

ლეილა ცერცვაძემ სამხრეთ სახალინზეც განაგრძო პედაგოგიური მუშაობა, როგორც ოფიცერთა საღამოს სკოლის დირექტორმა და ინგლისური ენის მასწავლებელმა. ცხადია, 24 წლის სრულიად ახალგაზრდა ქალისათვის სკოლის დირექტორობა მეტად პასუხსაგები იყო. მაგრამ მას შველოდა ახალგაზრდული ენერგია და ენთუზიაზმი. მან გამოიყენა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ პირველ მუსიკალურ ტექნიკუმში მიღებული განათლება და ფორტეპიანოს გაკვეთილებსაც ატარებდა. მას, დამსახურებული პედაგოგის, თამარ ბაგრატიონის აღზრდილს, დაავალეს ოფიცერთა შვილების თვითმოქმედებას ჩადგომოდა სათავეში, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი და ჯილდოები დაიმსახურა.

სახალინზე ყოფნასთან დაკავშირებით ქალბატონ ლეილას ბევრი კურიოზული შემთხვევა ახსოვს, მაგრამ, განსაკუთრებით ერთ ფაქტს იხსენებს: მის ძმას, პროფესიით გეოლოგს, ასპირანტურაში არ იღებდნენ, ვინაიდან ეგონათ მისი და სახალინზე გადასახლებული იყო. მაშინ ბევრს ვერ წარმოედგინა, რომ სახალინზე საცხოვრებლად ვინმე საკუთარი სურვილით წავიდოდა.

1954 წელს შოთა ქართველიშვილი სამუშაოდ ესტონეთში, ქალაქ ტალინში, გადაიყვანეს და ლეილა სრულიად ახალ სიტუაციაში — იაპონური ეგზოტიკიდან ევროპულ, ცივილიზებულ, თანაც ძალიან თავისებურ ქალაქში მოხვდა. იმხანად ესტონელებმა რუსული თითქმის არ იცოდნენ და ლეილამ სახელმძღვანელოების საშუალებით დაიწყო ესტონური ენის შესწავლა.

ესტონეთში ლეილას მეუღლე ეროვნული პოლკის ექიმად დაინიშნა. როცა ესტონელებმა შეიტყვეს, რომ ლეილამ ცოტაოდენი ესტონური შეისწავლა, სთხოვეს ესტონელი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის რუსული ესწავლებინა, ვინაიდან ჯარისკაცებს ფიცი რუსულად უნდა დაედოთ.

რადგან ლეილამ ამ საქმეს ჩინებულად გაართვა თავი, იგი ოფიცერთა მეუღლეების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ცხადია, არც ეს მოვალეობა იყო იოლი, რადგან ქალები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის კი

მხოლოდ ერთი, ლეილა იყო ქართველი. ლეილამ ყველაფერი იღონა, რომ მეგობრული კოლექტივი ჩამოეყალიბებინა. ეს მეგობრობა დღესაც გრძელდება მისვლა-მოსვლითა და ოჯახებში სტუმრობით.

ქალბატონ ლეილას კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა: ესტონური დივიზიის დაშლის შემდეგ ისინი საცხოვრებლად კუნძულ საარემაზე (ესტონეთში) გადავიდნენ. ამ ეგზოტიკური ადგილის მკვიდრი კაცები მსოფლიოში ყველაზე მაღლები არიან და საუკეთესო მეთევზეებად ითვლებიან...

1960 წელს მათი ოჯახი თბილისში დაბრუნდა. ლეილამ ინგლისური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტსა და 55-ე საშუალო სკოლაში. 1985 წელს მას უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა.

მძიმე იყო ქალბატონ ლეილასათვის მეუღლის ნაადრევი დაკარგვა: ცოტაოდენი სიმხნევე რომ ეგრძნო, უფრო ღრმად ჩაიძირა მუშაობაში. იგი სხვებთან ერთად მონაწილეობდა დარგობრივი ლექსიკონისა და ინგლისური ენის სახელმძღვანელოს შედგენაში.

ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები ფართოდ იყენებენ ლეილა ცერცვაძის დამხმარე სახელმძღვანელოს. ქალბატონი ლეილა აჩვევს მათ სპეციალური უცხოური ლიტერატურით სარგებლობას, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურზე თარგმნის ხელოვნებას, სპეციალური უცხოური ჟურნალებიდან საინტერესო სტატიების სინქრონულ თარგმნას. იგი წლების განმავლობაში ასწავლის ინგლისურ ენას ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტებს, მაძიებლებს და საზღვარგარეთ გასაგზავნ სპეციალისტებს. მის მიერ მომზადებული ასპირანტები უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებენ სტატიებს.

ბრწყინვალე პედაგოგი ლეილა ცერცვაძე ასევე ბრწყინვალეა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. განათლების მუშაკთა რესპუბლიკური ქალთა საბჭოს წევრი და სექტორის გამგე საქართველოს სკოლების, ბავშვთა სახლებისა და საბავშვო ბაღების დამხმარეა, რისთვისაც დაჯილდოებულია უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის საპატიო სიგელებით.

სად არ იყო, სად არ იმოღვაწა, მაგრამ, დაღლამდე ჯერ კიდევ შორია.

თამარ გომართელი

# დედა... დაიძახა ეკამ

დავით იაკობაშვილის ფოტო



საბავშვო ბაღის აღსაზრდელები კაკეთში

მგზავრის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩება მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს" ბაგა-ბაღ „მზიურის" მარადმწვანე გაზონებიანი ეზო და ლამაზი ორიგინალური აგურის შენობა, მუდამდღე ბავშვების ჟრიამულით სავსე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კომბინატის მოგება საგრძნობლად წასწია წინ. აქ მომსახურე მუშაკების უმეტესობა ქალები არიან და ამანაც განაპირობა ის ზრუნვა და ყურადღება, კომბინატის ხელმძღვანელობა რომ იჩენს პატარა აღსაზრდელებისადმი. თორმეტი წელიწადია, რაც ახალი ბაგა-ბაღი აშენდა და ამ წლების მანძილზე ბევრი რამის გაკეთება მოხერხდა. 150 ბავშვისათვის ყველაფერია გათვალისწინებული და გააზრებული. ყველა ჯგუფს თავისი საძილე, სასაუზმე-სამზარეულო, სასწავლო-დასასვენებელი ოთახები აქვს. ნათელი დერეფნები, მრავალფეროვანი ნახატებით, გობელენებით გემოვნებით დამშვენებული კედლები. ფარდაგებით, ფიანდაზებით დაფარული იატაკი. მეორე სართულზე ბავშვთა ნამუშევრების მუდმივი გამოფენაა.

ყველაფერი ეს, რაც დადებითად მოქმედებს აღსაზრდელთა სამყაროზე, ბაგა-ბაღის გამგის ლია გაბისონიას თაოსნობაა და კიდევ იმის შესაძლებლობამაც განაპირობა, ყოველ აღმზრდელსა და აღსაზრდელს რომ ეძლევა, სრულად წარმოაჩინოს თავისი ნიჭი, ფანტაზია და უნარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გართობის წუთები...



ბაღის გამგე ლია გაბისონია ბავშვებთან

დავით იაკობაშვილის ფოტოები

— თორმეტმა წელიწადმა სიზმარივით გაირბინა. სანამ გამგედ დამნიშნავდნენ, აღმზრდელად ვმუშაობდი, — იხსენებს ქალბატონი ლია, — საოცრად ნიჭიერი ბავშვები მყავდა: ნინო ტოგონიძემ „ვეფხისტყაოსნიდან“ ბევრი ადგილი ზეპირად იცოდა. გადავწყვიტე მასწავლებელ ნუნუ თოიძესთან ერთად სპექტაკლი „მექვლე თეკლე“ დამედგა. ბატონმა გივი თოიძემ დაგვისურათა დადგმა, მშობლები მხარში ამომიდგნენ და საბავშვო ბაღების კონკურსზე სპექტაკლსაც წარმატება ხვდა.

არიან მარტოხელა დედები, რომლებიც თავიანთი ქალური სუსტი მხრებით ზიდავენ დედობის მძიმე ტვირთს. ქალბატონი ლია განსაკუთრებულ ყურადღებასა და გულისხმიერებას სწორედ მათ მიმართ იჩენს.

წელთა სხვაობა სიყვარულს ვერას დააკლებს. პატარების გულის დაპყრობა ძნელია, მაგრამ ლიამ ეს შეძლო და ამიტომაც მას უხმობს ყველა, ასაკის განურჩევლად.

დედა!.. გარკვევით შემოესმა ლია გაბისონიას ხუთი წლის ეკასაგან. გოგონას ამ სიტყვამ იქ მყოფი დიდი და პატარა შეაკრთო... ეს წერილიც ამ შემთხვევამ დამაწერინა.

— არა მგონია ბავშვებთან მუშაობდე და გულთან არ მიიტანო მათი საწუხარი, — ამბობს ქალბატონი ლია, — ეკას უდედობა რომ არ ეგრძნო, ყოველთვის განსაკუთრებულ საჩუქარს ვუმზადებდი. ერთხელ ვთქვი, ეს ჩემი გოგოა მეთქი და მას მერე დედას მეძახის...

თითოეული ბავშვისათვის თავდადებით ზრუნავს და ამიტომაც გაუჭირდა რომასთან დამშვიდობება, რომელიც უკვე მოსწავლე გახდა. რომა წლინახევრისა მიუღიათ ბავაბაღში. გულგრილი დედის მაგიერ მოხუცებული ბებია ზრუნავდა მისთვის, აღზრდის მთელი ამაგი ბავშვს ლია მასწავლებელმა დასდო.

ბავშვებს დასვენების, ჭამის, ძილის, თამაშის, ვარჯიშის, გასეირნებისა და სწავლის მყარი დღის რეჟიმი აქვთ. შარშან გაზაფხულზე ტრადიციულად გაცილება იზეიმეს პატარებმა. დღევანდელობის მოთხოვნების მიხედვით იცვლება აღსაზრდელებთან მუშაობის მეთოდი. წლების პრაქტიკამ და გამოცდილებამ ნათელყო, რომ ბაღში უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები თუ ადრე მუსიკასთან ერთად მათემატიკას, რუსულსა და ინგლისურს ეუფლებოდნენ, წლეულს უკვე ეს გადატვირთული სწავლება შესაცვლელია. უცხო ენის მაგიერ ბავშვებს მეტყველებას განუვითარებს და ქართულ ენას დაუხვეწავს გამოცდილი მეთოდისტი და ლოგოპედი ციალა ძამაშვილი.

ყველა პედაგოგს მუშაობის განსხვავებული მეთოდი აქვს. მზია ქაფიანიძე მუდამ ახლის ძიებაშია, და ამ მხრივ ბევრსაც აღწევს. ლილი სერგეევა თავის მდიდარ გამოცდილებას სხვებსაც უზიარებს, ლორა ფანცულაია ხატავს, მღერის და იმ თოჯინებს ამზადებს, რომლებითაც პატარები წარმოდგენებს მართავენ. ნუნუ შანშიაშვილს ბავშვის შინაგან ბუნებაში ჩაწვდომა ეადვილება. დალი ბახტაძე ოთხი შვილის დედაა და აღსაზრდელებიც შვილებივით უყვარს. დამწყები პედაგოგი თინათინ კახნიაშვილი პატარების მესაიდუმლეა. მუსიკის მასწავლებლის ქალბატონ მარინე გადელიას ხელმძღვანელობით ბავშვები გამოდიან ფილარმონიის, ოპერის, მუსკომედიისა და სხვა თეატრების სცენებზე.

— როგორი იყო თქვენთვის და თქვენი პატარებისათვის შარშანდელი წელიწადი და როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

— შარშან ბაღის შენობა კაპიტალურად შეკეთდა და „სველი წერტილების“ პრობლემა წარსულს ჩაბარდა. კომბინატის დირექტორმა ბაღის ყველა მუშაკს ხელფასები მოგვიმატა. პატარების წყალობით ბედნიერების განცდა არ მაკლია განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხედავ მონატრებული ბავშვისა და მშობლის შეხვედრას — დედაშვილობის ამ შეუდარებელ ზეიმს.

ეკა კალანდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები

* * *

ნაწვიმარი იყო ზეცა.
მოძრაობდა ღრუბლის ქულა,
ვარსკვლავს თვალი მიერულა...
მთვარე, ჩემი მეგობარი,
მარტოსულთა ნათესავი,
თავზე მადგა მნათესავით.

* * *

ადამიანი თუ გიყვარს გულით, —
ბედნიერი ხარ!
პატივისცემა თუ იცი პურის, —
ბედნიერი ხარ!
სიამოვნებას თუ გრძნობ
შრომაში, —
ბედნიერი ხარ!
მშვიდობისათვის თუ იბრძვი,
მაშინ —
ბედნიერი ხარ!
ხუთამდე შვილი თუ გყავს
ოჯახში, —
ბედნიერი ხარ!

* * *

უძველესი კოშკები,
წინაპართა სახლები.

ცადაწვდილი წაბლები,
მწვანე დირიჟაბლები.

ბავშვების ჟრიამული
მარად, მარად გაისმის,

იმატოს და იმრავლოს
ამ წელს, იმ წელს, გაისად...

ქართველობამ, უკვდავმა,
და ლამაზმა გვარისამ.

* * *

წუხელი გვიან ღამით დავწექი,
წვიმდა, ციოდა და ქარი ქროდა.
ჩემი სარკმლის წინ, ჰადრის
ნასეტყვი
ფოთლები დაღლილ ქალივით
თრთოდა.
ერთიც ფრიალით დაბლა დაეშვა,
ვაი, ჩემს თვანწინ ქარმა შესცოდა.

**ირინე უშვერიძე**

## გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ბოლო წლებში სომხეთსა და ირანში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა ძალზე შეაშფოთა მოსახლეობა. როგორ მოვერიოთ პანიკურ შიშს, რომელიც სულ მცირეოდენი რყევის დროსაც გვეუფლება, როგორ მოვიქცეთ მიწისძვრის დროს? გთხოვთ, გვირჩიოთ, — გვწერს ჩვენი მკითხველების ერთი ჯგუფი.

ვასრულებთ თხოვნას და გთავაზობთ რეკომენდაციებს ბროშურიდან, რომელიც მოამზადა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ვულკანოლოგიის ინსტიტუტმა.

ყველა მიწისძვრა საშიში არ არის. შედარებით სუსტ (5 ბალამდე) მიწისძვრას ნგრევა არ მოსდევს. საშიშია, როცა რყევის ძალა 5-6 ბალს აღწევს. დაიმახსოვრეთ მისი ნიშნები: ამ დროს ქანაობს ჭაღები, ცვივა და ილეწება ჭურჭელი, იყრება ბათქაში, შეიძლება გადაადგილება დაიწყოს ავეჯმა, ირყევა შენობა. იმ მომენტიდან, პირველ ბიძგებს რომ იგრძნობთ, იქამდე, ყველაზე ძლიერი რყევა რომ დაიწყება და შენობის დანგრევის საშიშროება წარმოიშობა, 15-20 წამი გაივლის. ამ დროის განმავლობაში უნდა მოასწროთ გადაწყვეტილების მიღება — რა უფრო გემარჯვებათ: შენობის სწრაფად დატოვება თუ შედარებით უსაფრთხო ადგილის მოძებნა. აი, რომელია ეს ადგილები: სახლის შიგნითა კაპიტალური კედლების ღიობი (ტალი), ამ კაპიტალურ კედლებს შორის მდებარე კუთხეები, ამ კედლების მიმდებარე ადგილები. მიწისძვრის დროს სად არის ყველაზე საშიში ყოფნა? შენობის განაპირა კუთხის ოთახებში (განსაკუთრებით ზემოთა სართულებზე, ფართო შემინულ ღიობთან. საწოლებს ნუ დადგამთ ფართო სარკმლებთან; მიწისძვრის დროს არ შეხვიდეთ ლიფტში!

თუ ბათქაშის დიდი ნატეხების, ჭაღების ან შუშის ცვენის საშიშროებაა, დაიმალეთ მაგიდის ქვეშ, ზურგი შეაქციეთ ფანჯარას, ხელებით დაიფარეთ სახე და თავი.

შენობიდან გამოსვლა, ცხადია, ყველაზე კარგი ვარიანტია, თუ კი მოასწარით. მაგრამ, როგორც კი გამოხვალთ, უმალ მოშორდით სახლს და ელექტროგადამცემ ხაზებს, მოერიდეთ გაწყვეტილ ელექტროსადენებს.

თუ მიწისძვრამ მანქანის საჭესთან მოგისწროთ, სასწრაფოთ გააჩერეთ მანქანა, სასურველია, ღია ადგილას. ნუ გადმოხვალთ მანქანიდან, ვიდრე რყევა არ დასრულდება. ავტობუსის მძღოლმა მანქანის კარები უნდა გააღოს, მაგრამ მგზავრები უსაფრთხოებისთვის ჯობს ადგილებზევე დარჩნენ.





# ჰოროსკოპი

ჰოროსკოპი
ჰოროსკოპი

მრავალი სხვადასხვა ჰოროსკოპი არსებობს: ჩინური, იაპონური, დრუიდული... და ყველა ისინი ადამიანის ხასიათებს გვიხატავს, რათა უკეთესად შევიცნოთ ჩვენი თავი.

ძვირფასო ქალებო, დღეიდან ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ყოველთვიურად მოგაწვდით 12 ზოდიაქის ნიშნით დაბადებულ ადამიანთა დახასიათებას, რომელიც დაგეხმარებათ იდეალური პარტნიორის შერჩევაში.

ზოგადი ცნობები:

თუ ჰოროსკოპის შესწავლა გსურთ, საჭიროა იცოდეთ, რომ არსებობს ანალოგიები ზოდიაქის ნიშნებსა და ადამიანთა სხეულის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

ვერძი: თავი და სახე, თვალები.

ხარი: ყელი, ყურები, ყბა.

ტყუპები: ხელები, მხრები, სასუნთქი გზები.

კიბო: მკერდი, მუცელი, ლიმფური სისტემა.

ლომი: ხერხემალი, ზურგი, გული, სისხლ-ძარღვთა სისტემა.

ქალწული: წვრილი ნაწლავები, მუცლის ღრუ.

სასწორი: თირკმელები, წელი.

მორიელი: სწორი ნაწლავი, შარდის ბუშტი, ნაღვლის ბუშტი, სასქესო ორგანოები.

მშვილდოსანი: თეძოები, ბარძაყები.

თხის რქა: მუხლები, სახსრები, ძვლები.

მერწყული: ფეხის ქვედა ნაწილი, კოჭები, ნერვული სისტემა.

თევზები: ფეხები.

ადამიანმა მრავალგვარი ინტელექტი მემკვიდრეობით შეისისხლხორცა, მაგრამ, როცა საქმე ეხება სექსსა და სიყვარულს, იგი ნიადაგ მოწაფეა. ადამიანს ამ საქმეში გამოცდილება მაშინ ეწვევა, როცა, სამწუხაროდ, ავადმყოფურ შეცდომებს იგემებს. სექსი და სიყვარული სრულიად განსხვავებული მეცნიერებებია ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე. ასტროლოგიური ენით თუ ვილაპარაკებთ, სქესობრივი მომწიფების დადგომის შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება:

1. დაახლოებით 29,5 წლის ასაკში პლანეტა სატურნი უკვე მოივლის პერსონალური ჰოროსკოპის სრულ ციკლს. ამ დროს ადამიანი უბრუნდება თავის საწყის ადგილს, როცა იგი იშვა. მას უკვე აქვს საკუთარი განსჯის უნარი; სატურნის გავლენით იგი მოიშორებს ძველ თვალსაზრისს და, თავისი პირადი ჰოროსკოპის წყალობით უფრო ნათლად აღიქვამს ცხოვრებას. ამ კრიტიკულ ასაკში მას მომწიფებული წარმოდგენები უჩნდება საკუთარ თავზე და მისი სექსუალური ურთიერთობებიც ისე იდეალური და უდარდელი აღარ არის, როგორც ახალგაზრდობაში იყო. იგი საკმაოდ გამოცდილია.

2. დაახლოებით 41,5 წლის ასაკში პლანეტა ურანი ასრულებს ნახევარ ციკლს ინდივიდუალურ ჰოროსკოპში და იმ საპირისპირო ადგილამდე მიდის, სადაც იგი იმყოფებოდა ადამიანის დაბადების ჟამს. ეს კრიტიკული პერიოდი მოწოდებულია მოამზადოს ადამიანის „მე" საბოლოო მიზნისათვის, დაანახოს ადამიანებს ჭეშმარიტი ღირებულება, მისი მიღწევები და ხელმოცარვა ცხოვრებაში, მისი ადგილი დიდ მსოფლიოში, უკვე უცვლელი ბედი. აქ ურანი ამბობს თავის „მეს" და ეს ძირითადად ჭეშმარიტების პერიოდია.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური გადასვლით ადამიანის სექსუალური წარმოდგენები თავისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით ძირითად ცვლილებებს ექვემდებარება. პლანეტების ამ ორმა მდგომარეობამ შეიძლება შექმნას ანდა გატეხოს ადამიანი (ეს დამოკიდებულია მის შინაგან ძალებზე).

ცეცხლი, დედამიწა, ჰაერი და წყალი თორმეტი ასტროლოგიური ნიშნის ოთხი ჯგუფია. ეს კატეგორია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შეთანხმებულობის განსაზღვრისათვის (ზოოლოგიური და ფსიქოლოგიური), რაც ხელს უწყობს მათ შორის მტკიცე დამოკიდებულების დამყარებას. რასაკვირველია, ნებისმიერ ორ ადამიანს, რომლებიც დაბადებული არიან სხვადასხვა ნიშნით, შეუძლიათ სექსუალური სიამოვნება მიიღონ ერთმანეთისგან, მაგრამ, უკეთესია პარტნიორის იმავე ჯგუფიდან შერჩევა, რომელსაც თქვენი ნიშანი განეკუთვნება. პრინციპი, რის მიხედვითაც არის დანაწილებული ეს ჯგუფები, გახლავთ მათი ერთმანეთისადმი განლაგება ჰოროსკოპში (120°).

ცეცხლი: ვერძი, ლომი, მშვილდოსანი;

დედამიწა: კურო, ქალწული, თხის რქა;

ჰაერი: ტყუპები, სასწორი, მერწყული;

წყალი: კირჩხიბი, ღრიანკალი, თევზები.

ჰოროსკოპის შედგენისას ძირითადი ტექნიკური ხერხია „ზოდიაქის ორიენტირება", ანუ დედამიწის განსაზღვრული ადგილმდებარება ზოდიაქის მიმართ ადამიანის დაბადების მომენტში: ზოდიაქის შემოწერილობა ჰოროსკოპში დაყოფილია 12 ტოლ ნაწილად, რომლებსაც „სახლი" ეწოდება და ერთიმეორის მიყოლებით მიემართებიან საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით: ყოველი ასეთი სახლი სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის ცხოვრების განსაზღვრულ სფეროს.

პირველი სახლია — სიცოცხლე, ბედის საერთო ხაზი, ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიკვდილთან;

მეორე სახლია — მატერიალური კეთილდღეობა;

მესამე სახლია — ძმები, დები — ახლო ნათესავები;

მეოთხე სახლია — ოჯახური კერა და მშობლები;

მეხუთე სახლია — შვილები;

მეექვსე სახლია — ჯანმრთელობა;

მეშვიდე სახლია — ქორწინება;

მერვე სახლია — სიკვდილი, სასამართლო;

მეცხრე სახლია — ინტელექტი;

მეათე სახლია — სოციალური ამბიციები და საზოგადოებრივი სტატუსი;

მეთერთმეტე სახლია — მეგობრები და სოციალური ურთიერთკავშირი;

მეთორმეტე სახლია — მტრები.

## ჯვარედინი სიტყვა

კროსვორდი ინგლისური ტერმინია და ნიშნავს სიტყვების გამოცნობაზე აგებულ გასართობ ამოცანას. გერმანულად მას კროიცვორტრეტსელი, ანუ ჯვარედინი სიტყვის გამოცანა ჰქვია.

ერთხელ ქალაქ კაპშტატის ყველაზე დიდი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა საპატიმროდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. კონვერტში კვადრატებითა და ასოებით აჭრელებული ფურცელიც იდო.

წერილი მოკლედ იწყებოდა: ძვირფასო ბატონო, ახალი გასართობი გამოვიგონე, ეგრეთ წოდებული სიტყვების გამოცანა, უფრო ზუსტად, ჯვარედინი სიტყვების გამოცანა და იქნებ თქვენს გაზეთში დაბეჭდოთო.

რედაქტორს გაეცინა, წერილი ჯიბეში ჩაიდო და მალე მიივიწყა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც რედაქტორი თავის რამდენიმე მეგობართან ერთად კლუბში იჯდა, წერილი გაახსენდა და მათ უჩვენა. ისინი მაშინვე დაინტერესდნენ კვადრატიანი ფურცლით და დაიწყეს მსოფლიოში პირველი კროსვორდის ამოხსნა. როცა მიზანს მიაღწიეს, ბალღებივით გაიხარეს.

მეორე დღეს მთავარი რედაქტორი საპატიმროში მივიდა და კროსვორდის ავტორი ვიქტორ ორვილე მოინახულა. თურმე იგი საგზაო ავარიის გამო რამდენიმე წელიწადი იჯდა საპატიმროში და მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად ეს გასართობი გამოიგონა. საპატიმროს ექიმს ურჩევია კროსვორდი გაზეთის რედაქციაში გაგზავნეო.

და აი, ახლა დიდი გაზეთის მთავარი რედაქტორი იჯდა ვიქტორ ორვილესთან ციხეში და ახალ კროსვორდებს უკვეთავდა.

კაპშტატის გაზეთს ბევრმა ბეჭედვითმა ორგანომ მიბაძა და კროსვორდის ეპიდემია მთელ მსოფლიოს მოედო.

ვიქტორ ორვილე ამ გონებამახვილურ გასართობზე დღედაღამ მუშაობდა და რედაქციებიც დიდ საფასურს უხდიდნენ, რადგან მკითხველი კროსვორდიან გაზეთს უფრო ეტანებოდა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



# კულინარია

## ღორის ფეხები საგენით
### (ფარშით)

კარგად დამუშავებული (გატრუსული, დაფხეკილი და ჯაგრისით გარეცხილი) ღორის ფეხები (10-15 ნუთი) ნამოადუღეთ, ამოიღეთ ქვაბიდან, შეაგრილეთ და ბასრი დანის წვერით განაცალკევეთ კანი ძვლისაგან; შემდეგ კანს ფრთხილად შემოაცალეთ ხორცი (კანი რომ არ დაიშალოს) და გაატარეთ ხორცსაფქვავ მანქანაში. ძვლისაგან და კანისაგან ანათალი ხორცის ნაჭრები, 100 გრამი ნიორი და 150 გრამი ხახვი, შეურიეთ ძალიან წვრილად დაჭრილი (ოთხკუთხედებად) 200 გრამი სტაფილო, გემოვნებით შეაზავეთ მარილით და შავი პილპილით. მიღებული ფარშით გამოტენეთ ფეხებისაგან შემოცლილი კანები, კარგად შეკარით ძაფით, შემდეგ ყველა ერთად მოათავსეთ დოლბანდში ან თეთრ სუფთა ტილოში, გამოკარით (რომ არ დაიშალოს), ჩადეთ ქვაბში და ხარშეთ 1 საათის განმავლობაში; ერთი საათის შემდეგ შეამოწმეთ, თუ კანი უმი იქნება განაგრძეთ ხარშვა.

მოხარშული „ფეხები" გააცივეთ, შემოაცალეთ ქსოვილი და მხოლოდ სუფრაზე მიტანის წინ დაჭერით თხელ ნაჭრებად. ლამაზად დაალაგეთ შესაფერის თეფშზე და მორთეთ ახალი ხახვით და მწვანილით.

## პურზე წასასმელი საუზმე
### (ბუტერბროდისათვის)

ახლა, როცა პროდუქტების ნაკლებობაა, ალბათ ბევრი დიასახლისის „თავსატეხი" მაინც ისაა, რა მოუმზადოს ოჯახს საუზმისათვის. გთავაზობთ რეცეპტს, სცადეთ, იქნებ მოგეწონოთ.

მასალა: არაჟანი (ხაჭო ან ნადული) 300-350 გრამი, 10-12 ცალი ძალიან დანაყული ნიგოზი, 2-3 კბილი დანაყული ნიორი. ყველა ზემოთჩამოთვლილი მასალა ძალიან კარგად აურიეთ ერთმანეთში და შეაზავეთ მარილით (თუ გნებავთ, შავი პილპილითაც) თქვენი გემოვნებით.

თუ არაჟნის მაგიერ გამოიყენებთ ხაჭოს, მაშინ ხაჭო წინასწარ ძალიან კარგად დაზილეთ ან დაამუშავეთ მიქსერით და დაუმატეთ 1-2 ჩაის კოვზი კარაქი.

ც. ჩიტიაშვილი

## რაა მოდაში 1991 წელს?

სწორედ ამ კითხვას უპასუხეს 1989 წლის ნოემბერში ბულგარეთში შეკრებილმა სხვადასხვა ქვეყნების დიზაინერებმა და მხატვარ-მოდელიორებმა.

სილუეტი მთლიანობაში სხეულის ხაზთან უფრო ახლოა. მხარი საერთოდ არ გამოიკვეთება. კაბები ძალიან ქალური და სხვადასხვა სახისაა, როგორც ფორმით ისე გულისპირილით. წელი მკვეთრადაა გამოხატული. ყოველდღიური კაბის სიგრძე მუხლამდეა, გამოსასვლელისა — შუაწვივს ქვემოთ. ქსოვილები რბილია და ძირს დაშვებული. კოსტიუმები გამოირჩევა ელეგანტურობით. უსაყელოო და უმაჯო ჟაკეტები უფრო ჟილეტს მოგვაგონებენ. ქვედატანი სწორია, მსუბუქად უსვამს ხაზს თეძოს მოყვანილობას. მთავარი ადგილი უჭირავს იუბკა-შარვალს, როგორც წელში ახსმულს, ასევე დაფენილს. სიგრძე მუხლამდეა. მას ენაცვლება გრძელი და განიერი ქვედაბოლოები, რომელთაც იხმარებენ რომანტიკულ და ქალურ კოფთებთან ერთად, მამაკაცის ტიპის ჟილეტებთან და თეძოებამდე დაშვებულ გამოსასვლელ პიჯაკებთან, ანდა ძალიან მოკლე ჟაკეტებთან. მათი გაფორმებისას ბევრი რამ ნასესხებია სპორტული ქურთუკისაგან — დიდი დაკერებული ჯიბეები, კოკეტები, ქამრები. წინ შესაკრავი ზოგჯერ ერთბორტიანია და მაღალი, ზოგჯერ ორბორტიანი და ორი, ოთხი, ან მრავალი ღილით დამშვენებული. ტრიკოტაჟის ტანსაცმელში შეინიშნება მოდური ტენდენციები, ხოლო სხვადასხვა ჟაკარტული სახის მოხატულობა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ეს ქსოვილი როგორც საზეიმო, ისე ყოველდღიურ ხმარებაში. ხელით ნაქსოვ ტრიკოტაჟს გასაწყობად მოუხდება სხვადასხვა სახის ნაქსოვის — უჯრედოვანის, დაგრეხილის, აჟურულის — კომბინაცია. მათი გამოყენებით გაფორმდება როგორც სხვადასხვა სახის კოკეტი, ასევე სახელოები, წელი, ქვედატანი, ხელით ნაქსოვ სვიტერს დაამშვენებს მხატვრის ფანტაზიით შესრულებული ნახატები.

ფერთა გამაში წამყვანია ბუნებრივი ტონები — პირისფერი მოაგურისფერო — მოყავისფერო, მდოგვისფერი, შავი, წითელი, ოქროსფერი, ერთმანეთში გარდამავალი სახის ნაზი, პასტელის ფერები — მონაცრისფერო, ვარდისფერი, იასამნისფერი, ქვიშისფერი, მოდაშია მომცრო ან მომსხვილო უჯრედები, წვრილი ან ძალიან ფართო ზოლები, წვრილი ან მსხვილი მცენარეთა მოხატულობა.

რედაქციის მისამართი — მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54 მასალები გადაეცა ასაწყობად 7. 12. 90 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 02. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 100 00. შეკვ. 2620 ფასი 50 კაპ. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლიდარობას ვუცხადებთ ლიტვას!

ქართველი ქალები აღშფოთებულნი არიან ლიტვის სუვერენული რესპუბ-ლიკის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევით და იმ ხოცვა-ჟლეტით, რაც იქ გააჩაღეს საბჭოთა ჯარისკაცებმა.

1991 წლის 12-18 იანვარი ისტორიაში შევა, როგორც ლიტველი ხალხის ენითუთქმელი ტრაგედია.

ქართველი ქალები სოლიდარობას უცხადებენ გმირ ლიტველ ხალხს თა-ვიანთი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

1989-1991







## იმპერიის ძველი და ახალი ცოდვები

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა

დავით იაკობაშვილის ფოტო